

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული  
შტაბი

J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მზია ტყავაშვილი

საქართველოსა და ჩრდილო  
კავკასიის ურთიერთობა ძვ.წ. IV  
საუკუნიდან – XVII საუკუნემდე

მეომრის ბიბლიოთეკა №14

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეთოთხმეტე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეებს, საქართველოს მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი გიორგი საითიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლეილა ხურცია  
ყდის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაის მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

საქართველოს მთელ ჩრდილოეთ საზღვარზე გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედი, რომლის გადაღმა ოდითგანვე სხვადასხვა ეროვნების მრავალი ხალხი ცხოვრობდა: უბისები\*, ჩერქეზები\*, ყაბარდოელები\*, ყარაჩაელები\*, ოსები\*, ინგუშები\*, ჩეჩნები\*, დაღესტნელები\* და სხვა. ხალხთა მრავალფეროვნების გამო კავკასიას ენათა და ხალხთა ქვეყანასაც უწოდებდნენ.

საუკუნეების მანძილზე ურთიერთმტრობისა და განსაკუთრებით, XIX საუკუნეში რუსეთის მიერ ამ შხარის დაპყრობისთვის გაჩაღებული სისხლისმღვრელი ომებისა და მისი კოლონიალური პოლიტიკის წყალობით<sup>1</sup> ზოგიერთი ჩრდილოკავკასიელი ხალხი სამუდამოდ გაქრა ისტორის ასპარეზიდან.

საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე სამფლობელოების საკმაოდ დიდი ნაწილი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდა, იქ მცხოვრები ხალხები კი ქართულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ისეთივე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრნი. ამის თქმის უფლებას ჩრდილო კავკასიაში დღევანდლამდე შემორჩენილი ქართული სტილით აშენებული ეკლესია-მონასტრების ნაშთები და ქართულ-წარწერებიანი ქვა-ჯვრები გვაძლევს. ამაზე ცნობები არაერთ ქართულ თუ უცხოურ საისტორიო მატიანეშიცაა\* შემორჩენილი.

დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობაც საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო. თავდაპირველად, აქ მცხოვრები ხალხები წარმართები\* იყვნენ, შემდგომ მოხდა მათი უმეტესობის გაქრისტიანება. ისინი ძირითადად საქართველოს ეკლესიის, კერძოდ კი, ნიქოზისა\* და ნეკრესის\* ეპარქიების\* სამწყსოში შედიოდნენ. მოგვიანებით, დაახლოებით XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჩრდილო კავკასიაში დაიწყო მოსახლეობის მასიური გამაპმადიანება\*, თუმცა აქ კიდევ დიდხანს შემორჩა და XIX საუკუნეშიც საკმაოდ მყარი პოზიციები ეკავა წარმართობას.

ქართული სამყაროსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მშვიდობა და სტაბილურობა არა მარტო თავის ტერიტორიაზე, არამედ მის მეზობლად მდებარე ქვეყნებშიც. ქართველი პოლიტიკოსები განსაკუთრებით ჩრდილოეთის საზღვრების დაცვაზე ზრუნავდნენ, რისთვისაც აქ მცხოვრებ ხალხებთან მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თავის მხრივ ჩრდილიკავკასიელებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ქართველებთან კარგი ურთიერთობით.

კავკასიის ამ ორი რეგიონის ურთიერთობა ეკონომიკური ინტერესებით იყო შემაგრებული. ჩრდილო კავკასიაში მკაცრი კლიმატის გამო (აქ ზამთარი სექტემბრის ბოლოდან მაისის დამდეგამდე გრძელდება) არც მიწათმოქმედების და არც მესაქონლეობისთვის არ იყო ხელსაყრელი პირობები, ამიტომ მთიელები საქართველოდან სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებით: პურით, მარილით

<sup>1</sup> ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი გამოვლინება იყო ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობის ძალდატანებითი აყრა მშობლიური ადგილებიდან და მათი თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მასიური გადასახლება — ე. წ. მუჭაჯირობა\*.

და ა. შ. მარაგდებოდნენ. ისინი საქართველოს საზამთრო საძოვრებითაც იყვნენ დაინტერესებულნი. მათ უკვე სექტემბრის ბოლოს ქართლ-კახეთში ჩამოჰყავდათ თავიანთი საქონელი და მთელ ზამთარს საქართველოს ბარში ატარებდნენ. სამაგიეროდ, ქართველები საზაფხულო საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ და ჩრდილო კავკასიის იალაღებით\* სარგებლობდნენ.

ეკონომიკური ინტერესების გარდა საქართველოსა და კავკასიის მთიელ მოსახლეობას სხვა სახის ურთიერთობაც ჰქონდათ. მტრის შემოსევისას ორივე ხალხი ერთმანეთს დახმარების ხელს უშურველად უწვდიდა და ლტოლვილ მოსახლეობას თავშესაფარს აძლევდა.

ისტორიამ ამისი დამადასტურებელი არაერთი ცნობა შემოინახა. მართალია, საქართველო და მთელი ჩრდილოეთი კავკასია მოფენილი იყო ციხე-კოშკებითა და საფორტიფიკაციო\* ნაგებობებით, რომლებიც ძირითადად სტრატეგიულ და თავდაცვისთვის მოსახერხებელ ადგილებში იყო აგებული, მაგრამ ისინი არც თუ მთლად უსაფრთხო იყო. თავგანწირული ბრძოლები, რომლებიც აქ მიმდინარეობდა, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის სახიფათოც იყო და მრავალი უბედურების მომტანიც. ისინი ბრძან შემთხვევის მსხვერპლნიც შეიძლება გამხდარიყვნენ და მტრის მიერ ციხის აღების დროს ფაქტიურად ხაფანგში აღმოჩენილიყვნენ. გარდა ამისა, მტრის რიცხვმრავლობის, შინაგამცემლობის, დამხმარე ჯარის დროულად მოუსვლელობისა და სხვა მიზეზების გამო, მტრი ციხე-სიმაგრეების აღებას ზოგჯერ მაინც ახერხებდა. ამ შემთხვევაში მის დამცველებსა და იქ თავშეფარებულ ხალხს: ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს სასტიკი ანგარიშსწორება ელოდათ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მტრი დაინდობდა და სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, ტყვეობის მძიმე ხვედრსა და სამშობლოდან სამუდამოდ გადახვეწას ვერ გადაურჩებოდნენ.

მტრის მრავალრიცხოვანი და ძლიერი ლაშქრის შემოსევის დროს საქართველოში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის სხვა უფრო უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაც არსებობდა: მოსახლეობას მეფის შიკრიკები აფრთხილებდნენ, რომ სასწრაფოდ გახიზნულიყვნენ და მიუვალი მთებისა და ტყეებისთვის შეეფარებინათ თავი. მაგალითად, როდესაც V საუკუნეში საქართველოში ირანის მრავალრიცხოვანი გარნიზონები შემოვიდნენ, ვახტანგ გორგასალმა მაცნეები დააგზავნა და ხალხს მოუწოდა, რომ „დაეტოვებინათ სოფლები და ქალაქები, რომლებიც კარგად არ იყო გამაგრებული და კავკასიონის მთებისთვის შეეფარებინათ თავი“.

ამდენად, ჩრდილო კავკასიას საქართველოსთვის თავშესაფრის ფუნქციაც ეკისრებოდა და მასთან კარგი ურთიერთობით ქართული სახელმწიფო სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. მტრის მიერ ქართული ლაშქრის დამარცხებისა და საქართველოს ტერიტორიების აოხრების დროსაც ქვეყანა ინარჩუნებდა თავის მთავარ სიმდიდრეს – მოსახლეობას. საშიშროების გადავლის შემდეგ, გახიზნული ხალხი თავის კერას უბრუნდებოდა და ახალი შემართებით იწყებდა დანგრეული ქვეყნის აღდგენას.

ყოველთვის სიმშვიდე არც ჩრდილო კავკასიაში იყო. აქ მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთთან და ჩრდილო კავკასიის მთისწინეთსა და სამხრეთ

რუსეთის ველების მომთაბარეებთან ხშირად გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ, რომელიც არცთუ იშვიათად ომითა და სისხლისღვრით მთავრდებოდა.

გაჭირვებაში მყოფ ჩრდილო კავკასიელებს ქართველები უშურველად უწვდიდნენ დახმარების ხელს. მტრისგან შევიწროვებული კავკასიის მკვიდრნი საქართველოში გადმოდიოდნენ და აქ პოულობდნენ თავშესაფარს. ამის შესანიშნავ მაგალითად უახლოეს წარსულში მომხდარი ფაქტიც გამოღება. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ უყოფმანოდ მიიღო რუსების მიერ შევიწროვებული ჩეჩენი ლტოლვილები, რომლებიც დროებით დაასახლა საუკუნენახევრის წინ ბედის უკუღმართობის შედეგად, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიიდან პანკისის\* ხეობაში გადმოსულ თავიანთ თანამემამულებთან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მაშინ მოხდა (XX ს-ის 90-იან წლებში), როდესაც ქართველ ხალხს უკიდურესი გაჭირვების ხანა ედგა და თავისი, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან გამოღევნილი, ლტოლვილების აუარებელი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი.

ყოველივე ზემოთ თქმული წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს იმისას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს მათივე ქვეყნების და საერთოდ, რეგიონის წინსვლისა და განვითარებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ როგორც საქართველოს, ასევე ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოთა მესვეურებმა. ამიტომ ყველანაირად ცდილობდნენ ყოველგვარი პრობლემა და გაუგებრობა მშვიდობიანად, მოლაპარაკებებისა და დათმობების გზით მოეგვარებინათ და დაძაბულობა კონფლიქტამდე არ მიეყვანათ.

ამის დამადასტურებელია ის ხშირი დამოყვრება, რომელსაც ქართული და ჩრდილო კავკასიური სამეფო სახლები არაერთგზის მიმართავდნენ. არაერთი ქართველი მეფე დაქორწინებული იყო ჩრდილო კავკასიის რომელიმე ქვეყნის მეფის ასულზე. ხშირი იყო ქართველი მეფისა თუ ქვეყნის უპირველესი დიდებულების ასულების ჩრდილო კავკასიაში გათხოვების შემთხვევები. დამოყვრებული სამეფოები ერთმანეთის მტერს მტრულად, მოყვარეს კი მოყვრულად ხვდებოდნენ და ერთმანეთის ინტერესებსაც მტკიცედ იცავდნენ: ომის შემთხვევაში ეხმარებოდნენ ერთმანეთს ჯარით, მოკავშირე ქვეყნის სათარეშოდ მიმავალ სხვა ქვეყნების ლაშქარს არ ატარებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე და ა. შ.

დამოყვრება ხშირად მტრულად განწყობილ ქვეყნებს შორისაც ხდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ ძველმა მოწინააღმდეგებმა თავის თავზე იწვნიეს ურთირთდაპირისპირების მავნე შედეგები და ქორწინებით განიზრახეს კეთილმეგობრობის დამყარება და მტრობის შეწყვეტა.

ქართულ და უცხოურ ისტორიულ მატიანეებში მოიპოვება არაერთი ცნობა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ქვეყნის სამეფო სახლებს შორის დინასტიურ\* ქორწინებაზე. ამჯერად, შხოლოდ რამდენიმე ცნობილი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: პირველ ქართველ მეფე – ფარნავაზს ცოლად ჰყავდა ძურძუკეთის\* მეფის ასული, მისი და კი ოვსთა მეფეზე იყო გათხოვილი; ბაგრატ IV-ეს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის დორლოლელის და

ბორენა; საქართველოს დედოფალი თამარი დაქორწინებული იყო ოს უფლისწულ დავით სოსლანზე, ძალზე ხშირი იყო კახეთისა და დაღესტნის სამეფო ოჯახების დამოყვრების შემთხვევები და ა. შ.

მშვიდობიან ურთიერთობებთან ერთად, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყნებს შორის, იყო დაძაბულობები და კონფლიქტები, რასაც ხშირად სასტიკი და დაუნდობელი ომი მოსდევდა.

### X X X

ძველი წელთაღრიცხვის IV–III საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო პირველმა მეფე ფარნავაზმა (მეფობდა დაახლოებით ძვ. წ. 328-268 წწ.) გააერთიანა და იგი ერთ-ერთი ქართული დინასტიის – ფარნავაზიანთა დამაარსებელი გახდა. მისი მეფობის პერიოდში საქართველოს სიძლიერის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქვეყანას მჭიდრო და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის უდიდეს ქვეყნებთან: დურმუკებთან და ოსეთთან.

კეთილმეზობლობა დინასტიური ქორწინებით იყო განმტკიცებული: ფარნავაზს ძურმუკი ცოლი ჰყავდა, მისი და კი ოსთა მეფეზე იყო გათხოვილი.

ამ პერიოდში დიპლომატიურ ურთიერთობებში ასეთი წესი მოქმედებდა: მოკავშირე ქვეყნებს საერთო მტერი და საერთო მოყვარე ჰყავდათ. ამიტომ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება გარანტირებული ჰქონდა. ეს ფარნავაზს შესაძლებლობას აძლევდა თავისუფლად ემოქმედა ქვეყნის სამხრეთით, დასავლეთით თუ აღმოსავლეთით, გაემაგრებინა საზღვრები და საჭიროების შემთხვევაში მთელი ძალებით გადასულიყო შეტევაზე მომძლავრებული და რიცხვმრავალი მტრის წინააღმდეგ. მან კარგად იცოდა, რომ ომის შემთხვევაში ოსები და ძურმუკები მის მოკავშირედ გამოვიდოდნენ და საჭირო სამხედრო დახმარებასაც დროულად აღმოუჩენდნენ.

ფარნავაზმა სამხედრო რეფორმა განახორციელა, რომელიც წარმატებული გამოდგა და ქვეყანა გააძლიერა. „მისი დროის ქართლის სამეფო სამხედრო პრინციპებზე აგებული ქვეყანა იყო. ტერიტორიას საიდანაც ათასი მოლაშქრე გამოდიოდა, ათასისთავი განაგებდა. რამდენიმე ათასისთავი თავისი ჯარით სპასალარს\* ექვემდებარებოდა. რამდენიმე სპასალარი თავისი ლაშქრით საერისთავოს ლაშქარს ქმნიდა, რომელსაც უკვე ერისთავი ედგა სათავეში. ერისთავები ქართლის ჯარების საერთო მეთაურის სპასპეტის დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ. გარდა უმაღლესი მხედართმთავრობისა, სპასპეტის დიდი უფლებები ჰქონდა. ის მეფის შემდეგ ქვეყანაში მეორე პირი იყო და სამეფოში მეფის არყოფნის ან მცირეწლოვანების დროს სამეფოს მართავდა. ჩვეულებრივ, სპასპეტი ტახტის მეტყვიდრის, მომავალი მეფის, „მამამძუძე“ ანუ აღმზრდელი იყო. სპასპეტი ქართლის სამეფოს მტკვარს, არაგვსა და სურამის ქედს შორის

მდებარე ცენტრალურ ტერიტორიას, ზენა სოფელს, იგივე შიდა ქართლს განაგებდა. ფარნავაზის დროს საქართველოს რიცხვმრავალი, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი ჰყავდა, რომლის საშუალებითაც ფარნავაზი ქართული სახელმწიფოს ტერიტორიების დაცვას უზრუნველყოფდა.


ფარნავაზმა გონივრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით შეძლო ქართული მიწების დიდი ნაწილის გაერთიანება. მისი მეფობის პერიოდში ქვეყანაში შედარებით მშვიდობიანობა დამკვიდრდა. მატერიალურ კეთილდღეობას კულტურული აღმავლობაც მოჰყვა.

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტი დაიკავა საურმაგმა (მეფობდა ძვ. წ. III საუკუნეში), ფარნავაზისა და მურმუკეთის მეფის ასულის ვაჟმა.

ადრეულ ხანაში ამა თუ იმ პირის მეფედ დასმისას აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ საქართველოს მეფე თავისი ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით, თუ საბრძოლო ხელოვნებით თავის ქვეშევრდომებზე ძლიერი, გამორჩეული, აღმატებული და „მძლე“ ყოფილიყო.

როგორც ჩანს, ეს ტრადიცია ომის მიმდინარეობის მაშინდელი წესებითაც იყო განპირობებული. თითქმის ყოველი ბრძოლის დაწყების წინ ეწყობოდა გმირების ანუ, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ, „ბუმბერაზთა“, შებრძოლებები: დაპირისპირებული ბანაკებიდან გამოდიოდნენ საბრძოლო ხელოვნებაში დახელოვნებული, სიმამაცითა და ფიზიკური ძალით გამორჩეული მეომრები (ე. წ. „ბუმბერაზები“) და ერთმანეთს ერკინებოდნენ. ასეთი ორთაბრძოლები ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. გამარჯვება ან დამარცხება ქვეყნის პრესტიჟისა და ღირსების საქმე იყო და ნაწილობრივ განსაზღვრავდა კიდეც ომის ბედს, რადგანაც ბრძოლის დაწყების წინ მას უდიდესი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა შეეძლო მეომრებზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ასეთ ორთაბრძოლებში უმეტეს შემთხვევაში მეფები მონაწილეობდნენ, შერკინება კი თითქმის ყოველთვის დამარცხებულის სიკვდილით მთავრდებოდა, ადვილი წარმოსადგენი გახდება, თუ რა მოჰყვებოდა ერთმანეთის პირისპირ საბრძოლველად განლაგებული ორი მტრული ბანაკის თვალწინ ერთ-ერთი მხარის პირველი პირის დამარცხებასა და მით უმეტეს, სიკვდილს. ქართველ დიდმოხელეებს აფიქრებდათ ის გარემოება – იქნებოდა თუ არა ტახტის მემკვიდრე „მძლე“, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობით სხვებზე აღმატებული. წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. საურმაგი ტახტს არ თმობდა. სამეფო ტახტის მამიდან შვილზე გადაცემის დაკანონებასთან შეგუებას არც ქართველი წარჩინებულები აპირებდნენ.

დიდებულებმა საურმაგის სიკვდილი განიზრახეს. საურმაგმა ეს დროულად შეიტყო და მურმუკეთს, დედულეთს მიაშურა. მურმუკთა (დედის ძმების) და ოსთა (ოსთა მაშინდელი მეფე მისი მამიდაშვილი იყო) დახმარებით მან მოაგროვა უზარმაზარი ლაშქარი, შემოვიდა საქართველოში და განდგომილ წარჩინებულებთან სასტიკი ბრძოლების შემდეგ სამეფო ტახტი ისევ დაიბრუნა. საქართველო კვლავ ფარნავაზის დროინდელ საზღვრებში აღდგა.



ამ დროს ძურმუკები ძალიან იყვნენ გამრავლებულები და თავიანთ ქვეყანაში მიწა არ ჰყოფნიდათ დასასახლებლად. ჭარბი მოსახლეობა ყველა დროს და ნებისმიერი ქვეყნისთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. ის განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია მთის პირობებში. მთას მცირე და მწირი მიწიანობის გამო, ისედაც მხოლოდ განსაზღვრული და საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობის გამოკვება შეუძლია. მოსახლეობის ზომაზე მეტად გამრავლების შემთხვევაში კი მისი მცხოვრებლები შიმშილით სიკვდილისთვის არიან განწირულნი. ისინი ან სხვაგან უნდა გადასახლდნენ, ან თავის რჩენის სხვა საშუალებები ეძიონ. ერთ-ერთი ასეთი საშუალება უცხო ქვეყნის ჯარში დაქირავებით სამსახურია. სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, მიღებული ჯამაგირით მთიელები ცდილობდნენ არსებობისთვის აუცილებელი პროდუქტი შეეძინათ და წლიდან წლამდე თავი როგორმე გაეტანათ. სწორედ ამიტომაც იყო ფართოდ გავრცელებული ჩრდილოკავკასიელთა დაქირავება სხვადასხვა ქვეყნის ჯარებში. მათ ხშირად იყენებდნენ საქართველოს ხელისუფალნიც. სხვადასხვა დროს ქართულ ლაშქარში ქართველთა მხარდამხარ იბრძოდნენ: ძურმუკები, ოსები, ლეკები და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხები. თუმცა მათი დაქირავება სხვა ქვეყნის მესვეურების კეთილ ნებასა და საჭიროებასთან იყო დაკავშირებული, თანაც დაქირავებულ ჯარში ყველას დასაქმება ვერც ხერხდებოდა.

გაჭირვებაში ჩავარდნილი, შიმშილით სიკვდილის საშიშროების პირისპირ მდგომი მთიელები იძულებულნი ხდებოდნენ ქურდობა-ავაზაკობითა და მეზობელ რაიონებზე თარეშით შეევსოთ საკვების ის მარაგი, რომელიც აკლდათ. ასეთ შემთხვევაში მთა ბარისთვის მეტად საშიში და მრისხანე ძალა ხდებოდა. მისი შეჩერება აღარავის შეეძლო.

უძველესი დროიდან მოყოლებული თითქმის ყველა საუკუნეში არა მარტო საქართველო, არამედ სომხეთი, ირანი და ჩრდილო კავკასიიდან საკმაოდ დაშორებული ქვეყნებიც კი უკიდურესად იყვნენ შეწუხებული ჩრდილო კავკასიელთა ბოლომოუღებელი და სასტიკი თავდასხმებით. აქედან გამომდინარე, სავსებით ცხადია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველოს მოსახლეობა, რომლის მდიდარი და ნაყოფიერი ტერიტორიები ჩრდილო კავკასიას უშუალოდ ემეზობლებოდა. ისინი პირველ დარტყმას იღებდნენ. თარეში ყოველდღიური ხასიათი ჰქონდა და შედეგიც ერთობ სავალალო იყო. მთიელთა თავდასხმები მთლიანად ანადგურებდა ქვეყანას, შლიდა მის ეკონომიკას, ხელს უშლიდა მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას; განსაკუთრებით მძიმე კი ის აურაცხელი ადამიანური მსხვერპლი იყო, რომელიც თან მოსდევდა შემოსევებსა და რბევას.

ყოველივე ეს კარგად იცოდნენ ქართულ სამეფო კარზე. ამიტომ ქართველი მეფები არა მარტო ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების საქმის კურსში იყვნენ, არამედ ყოველთვის დიდი ყურადღებითა და გულისყრით ადევნებდნენ თვალს იქ მიმდინარე სოციალურ და დემოგრაფიულ პროცესებს, რათა საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება და მთაში სტაბილურობის შენარჩუნებისთვის საჭირო ღონისძიებები დროულად გაეტარებინათ. მშვიდი მთა ხომ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის იყო ხელსაყრელი და ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საურმაგმა გონივრულად შეაფასა არსებული სიტუაცია და ტახტის დაბრუნებაში გაწეული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ ძურძუკების ნახევარი, საქართველოს საზღვრებში, მის ჩრდილოეთ რაიონებში, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, კერძოდ კი, ეგრისიდან\* დიდოეთამდე\* გადაჭიმულ ტერიტორიაზე, დაასახლა. ამით მან ძურძუკებსაც გაუწია დახმარება, რადგანაც გადაუჭრა უმიწოდის საკმაოდ სერიოზული პრობლემა, რითაც უზრუნველყო მშვიდობიანობა ჩრდილო კავკასიის ამ ძლიერ, დიდ, საქართველოს მოკავშირე ქვეყანაში და ქართულ სახელმწიფოსაც ააშორა თავდასხმები და რბევა. ეს საურმაგის მხრიდან შორსმჭვრეტელური საქაიელი იყო. ამ ღონისძიებით მან არა მარტო შეინარჩუნა, არამედ უფრო განამტკიცა დურძუკეთთან მეგობრული ურთიერთობა, შეიძინა ერთგული მოკავშირე, ამასთანავე, დაიცვა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება და უზრუნველყო საჭიროების დროს სამხედრო დახმარების მიღება. მან ასევე ხელი შეუშალა ძურძუკების უკონტროლო გადმოსახლებასა და ქართულ ტერიტორიებზე თვითნებურ დასახლებას; დაასწრო მათ და ისინი დაასახლა იქ, სადაც ქართული სახელმწიფოსთვის იყო სასარგებლო და არა იქ, სადაც თვითონ მოისურვებდნენ.

ძურძუკების გადმოსახლება საქართველოს აძლიერებდა სამხედრო თვალსაზრისით, რადგანაც საურმაგმა ისინი სამხედრო სფეროში დაასაქმა. ამით მან ძურძუკების ხარჯზე გაზარდა საქართველოს ჯარის რაოდენობა და დაზოგა ქვეყნის ეკონომიკისა და სამეურნეო ცხოვრების უმთავრესი საყრდენი,

ქართული მიწათმოქმედი მოსახლეობა – გლეხობა. მთიელი ძურმუკები კარგი მეომრები იყვნენ და მეფის ერთგულ დასაყრდენად იქცნენ. მათი უმეტესობა საქართველოში მშვიდობიანად ცხოვრობდა და ნელ-ნელა ეგუებოდა ახალ გარემოს. გადმოსახლებულებს დიდ დახმარებას უწევდა ქართული სახელმწიფოც. საურმაგის სიცოცხლეში მათთან საქართველოს მოსახლეობას რაიმე სერიოზული დაპირისპირება, ხოლო ქართულ სახელმწიფოს მოუგვარებელი პრობლემა არ ჰქონია. თუმცა ასეთმა მშვიდობიანმა ყოფამ დიდხანს არ გასტანა.

საურმაგის შემდეგ გამეფდა მისი სიძე და შვილობილი მირვანი, იგივე მირიან I (მეფობდა ძვ. წ. II ს., 230-180 წწ.). სწორედ მისი მეფობის პერიოდში ხდება ჩრდილო კავკასიასთან, კერძოდ კი, ძურმუკების სახელმწიფოსთან ურთიერთობის გართულება. მათ დაივიწყეს ფარნავაზისა და საურმაგის ამაგი და ქართული ტერიტორიების რბევა დაიწყეს.

საქართველოზე მოწყობილ თარეშში ძურმუკებს ეხმარებოდნენ საურმაგის დროს საქართველოში, კერძოდ კი ჭართალში\*, დასახლებული ძურმუკები. ისინი საქართველოზე სათარეშოდ მომავალ, ქედს იქით მცხოვრებ თავიანთ თანამობმებს თავიანთ ტერიტორიაზე აძლევდნენ გზას, თავშესაფარს, მოჰყვებოდნენ გზის მაჩვენებლებად და გამცილებლებად, თვითონაც უამხანაგდებოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თავდასხმებში.

ჭართალში მცხოვრები ძურმუკების ასეთი საქციელი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან მათმა სიახლოვემ და მჭიდრო ურთიერთობამ გამოიწვია. საურმაგის დროს გადმოსახლებულ ძურმუკებს ლტოლვილთა ახალი ნაკადი დაემატა, რამაც მათი რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. გადმოსახლებულებმა სხვადასხვა საბაბით თავიანთი ახლობლების გადმოყვანა და მათი ქართულ მიწებზე დასახლება რომ დაიწყეს, თავდაპირველად ეს სახიფათოდ არც ადგილობრივ მოსახლეობას მოსჩვენებია და არც ქართველ პოლიტიკოსებს. მალე ახალმოსახლეებმა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ისე შეავიწროვეს, რომ მათი უმეტესობა იძულებული გახდა მათ გამორიდებოდა, მშობლიური ადგილები მიეტოვებინა და სხვაგან გადასულიყო საცხოვრებლად. მოკლე ხანში ძურმუკებმა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას რიცხობრივად საგრძნობლად გადააჭარბეს. ისინი ზომაზე მეტად გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, რის შემდეგაც ქართული ტერიტორიების რბევას მიჰყვეს ხელი.

თავიდან თავდასხმები მცირე მასშტაბის იყო და შედარებით იშვიათად ხდებოდა. მათი ალაგმვა ქართველებს არ უჭირდათ და რაიმე სერიოზულ ყურადღებას არც აქცევდნენ. თუმცა ჭართალში მცხოვრები ძურმუკები მალე საკმაოდ საშიშ ძალად იქცნენ. მათი თარეში გახშირდა. ადრე თუ მოძალადების დასჯას ქართველთა მცირე რაზმიც ადვილად ახერხებდა, ბოლო დროს მათი დამარცხება მეფის ლაშქარსაც უჭირდა, რადგანაც მათ მოკავშირედ და მაშველად ყოველთვის გვერდს უმაგრებდა კავკასიის ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყნის – ძურმუკეთის სამხედრო ძალა.

საქართველო ტერიტორიის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ქართული დამსჯელი ექსპედიციის მასშტაბებიც სულ უფრო და უფრო

იზრდებოდა. აქეთ, კერძოდ კი ჭართალში, გადმოსახლებული ძურძუკების თვითნებობის ალაგმვა დღითიდღე ორი სახელმწიფოს – ძურძუკეთისა და საქართველოს შორის ომს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ჭართული სახელმწიფოს შიგნით ურჩების დასჯის სამხედრო ოპერაციას. მოთარეშე ძურძუკების დამარცხება კი დღითიდღე უფრო და უფრო ძნელდებოდა. საქმეს დურძუკების მიერ არჩეული ბრძოლის ტაქტიკაც ართულებდა, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მთის ხალხისთვის: თავდასხმის შემდეგ ისინი მალევე უკან იხევდნენ, მთებსა და ტყეებს აფარებდნენ თავს და სამშობლოში ასე გადადიოდნენ, რის გამოც მოუხელთებლები ხდებოდნენ.

მთის პირობებში დამსჯელი ოპერაციის ხშირი მოწყობა, არა მარტო ძურძუკეთში, არამედ ჭართალშიც კი, საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჭართალისა და ძურძუკეთის მთიანი რელიეფი და მიუვალობა ლაშქრობისთვის არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ეს კარგად იცოდნენ თავდამსხმელებმა და დაუსჯელობის იმედით უშიშრად გრძნობდნენ თავს. დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის შემთხვევაშიც, მთიანი ადგილმდებარეობა საქართველოში მცხოვრებ ძურძუკებს მეფის ლაშქრთან შედარებით უკეთეს პირობებში აყენებდა. ძურძუკეთთან სიახლოვის გამო ისტორიული სამშობლოდანაც დროულად მოსდიოდათ სამხედრო დახმარება. ვითარება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და უმართავი ხდებოდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ზომები სასწრაფოდ იყო მისაღები.

ერთ-ერთი შემოსევის დროს, დურძუკები და ჭართალში ჩასახლებული კავკასიელები გაერთიანდნენ და კახეთი და ბაზალეთი მოაოხრეს. მირვანის მოთმინების ფიალა აივსო.

ქართველმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ, რომ ვერც ჭართალში მცხოვრები ძურძუკები გაბედავდნენ ქართული ტერიტორიების რბევას თანამოძმეთა დაუხმარებლად და ვერც ქედს იქიდან, ისტორიული ძურძუკეთიდან, შეძლებდნენ რამე სერიოზული ვნების მიყენებას საქართველოსთვის ჭართლის მცხოვრებთა თანადგომის გარეშე. სამეფო კარზე გადაწყვიტეს, რომ ორივე ერთნაირად იყო დამნაშავე და სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ.

მირვანი იძულებული გახდა ჭართალსა და ძურძუკეთში ლაშქრობის გადაწყვეტილება მიეღო. გეგმა ასეთი იყო: ჯერ კავკასიონის ქედს იქით უნდა გადასულიყვნენ და ძურძუკეთის ქვეყანა მოეოხრებინათ, შემდგომ კი ქართულ ტერიტორიაზე, კერძოდ კი ჭართალში, ჩამოსახლებული ძურძუკები დაესაჯათ.

მირვანმა ლაშქრის შეყრა ბრძანა. ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობა საკმაოდ რთული იყო და იგი მრავალრიცხოვან, კარგად შეიარაღებულსა და გაწვრთნილ ჯარს საჭიროებდა. წარმატებისთვის აუცილებელი იყო ჯარისკაცებს მთაში ბრძოლის გამოცდილება ჰქონოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დამარცხება გარდუვალი იქნებოდა, რადგანაც მთიანი ადგილმდებარეობის გამო, ქართველ მოლაშქრეებს თავიდანვე მოწინააღმდეგესთან შედარებით არათანაბარ პირობებში მოუწევდათ ყოფნა და გამარჯვების მიღწევა გაჭირდებოდა. ძურძუკებს მოწინააღმდეგესთან შედარებით

ბევრი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი თავიანთ ქვეყანაში იბრძოდნენ, შეჩვეულნი იყვნენ მთის კლიმატს და არც მთაში გადაადგილება უჭირდათ.

მირვანმა საომრად საქართველოს ყველა კუთხის ერისთავებს\* მოუწოდა. შეიკრიბა ქართული ლაშქარი: მხედარი თუ ქვეითი. მათ შორის საურმავის მიერ გადმოსახლებული ძურმუკებიც იყვნენ (ჭართლელების გარდა). მათ ღალატი გულშიც კი არ გაუკლიათ, ერთგულად ემსახურებოდნენ მეფესაც და ქვეყანასაც.

სრულიად საქართველოს ლაშქრით მირვანი ჩრდილოეთისკენ დაიძრა. მას პირველ რიგში ძურმუკეთში შესვლა და მისი დალაშქვრა ჰქონდა გადაწყვეტილი. ძურმუკები გაერთიანდნენ და დიდი ლაშქარი შეკრიბეს. ისინი ცდილობდნენ ქართველი მეომრები თავიანთ ქვეყანაში არ შეეშვათ. ძურმუკები კავკასიონის გადასასვლელებთან (დარიალთან) აგებულ სიმაგრეებში ჩადგნენ და გადასასვლელები ჩაკეტეს.

გადასასვლელების დასაკავებლად შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა. ქართველების პირველი შეტაკება უშედეგოდ დამთავრდა. მათ რთული აღმართის ავლა მოუხდათ, რაც სიმაგრეში გამაგრებულთაგან ძლიერი წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობდა. ძურმუკები სეტყვასავით აყრიდნენ ისარს, აგორებდნენ ქვებს და დიდ ზარალს აყენებდნენ ქართველ მეომრებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ლაშქრის სათავეში მდგომი ქვეითები იყვნენ. მირვანმა მათი გაჭირვება დროულად შეამჩნია. მან გადაწყვიტა ჯარისკაცები პირადი მაგალითით გაემხნევებინა და პირველი დარტყმა თავის თავზე მიეღო.

იგი ცხენიდან ჩამოხტა და ლაშქარი შემდეგნაირად დააწყო: ლაშქრის სათავეში ქვეითები ჩააყენა. მათ უკან კი ცხენოსნები განალაგა. თვითონ წინ წარუძღვა ქვეითებს და ჯარი შეტევაზე გადაიყვანა. მემატიანე მირვანზე წერდა, რომ იგი ისე იბრძოდა, როგორც „ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხვი სიმხნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“; ანუ იგი თან მხნედ იბრძოდა და თან ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდა ჯარს. ძურმუკებსა და ქართველებს შორის ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. მირვანი ომის ქარ-ცეცხლში ტრიალებდა. მართლაც ძნელი იყო აღმართში წინსვლა, ციხე-სიმაგრეში გამაგრებული კბილებამდე შეიარაღებული ძურმუკების იერიშის გაძლება და თანაც შეტევაზე გადასვლა. მირვანის მისამართით აუარებელი ისარი მოჰკროდა, თუმცა ქართველთა მამაცი მეფე უშიშრად იდგა და უკან არ იხევდა. „მირვან იდგა ვითარცა კოშკი მტკიცე. მას ვერ ჰქვეთდა მახვილი დურმუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა, და დგა უძრავად“. სიმამაცე და თავდადება არც ქართველ მეომრებს აკლდათ. მეფის მაგალითი კი მათზე გადამდებად მოქმედებდა და ძალ-ღონეს უორკეცებდა.

ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ორივე მხრიდან ბრძოლის ველზე მრავალი მეომარი დაეცა გმირულად. ბოლოს გამარჯვების სასწორი ქართული მხარისკენ გადაიხარა. ძურმუკებმა მათ მოწოლას ვეღარ გაუძლეს, სიმაგრეები მიატოვეს და ბრძოლის ველიდან გაიქცინენ. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ისინი დაედევნენ გაქცეულ მტერს. ვინც წინააღმდეგობას უწევდა, იძულებულნი გახდნენ დაეხოცათ, უმეტესობა კი დაინდეს და ტყვედ წამოიყვანეს.

ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებას ქართველთა ბანაკში სიხარული მოჰყვა. ძურმუკუთი ძლიერი და ხალხმრავალი ქვეყანა, ძურმუკები კი კარგი მებრძოლები იყვნენ. მათი დამარცხება, მითუმეტეს მთის, თანაც არათანაბარ პირობებში ადვილი არ იყო. ეს ქართული საბრძოლო ხელოვნების მაღალი დონის, იარაღის ტექნოლოგიური სრულყოფის მაჩვენებელია (ამაზე მიანიშნებს მემატიანის ცნობა, რომ „მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურმუკთა“. აქ, რა თქმა უნდა, მირვანის სიმამაცესთან ერთად მისი აბჯრის სიმტკიცე და გამძლეობა იგულისხმება. როგორც ჩანს, იგი ისეთი მასალისგან იყო გაკეთებული, რომ ძურმუკების მახვილი მას ვერას აკლებდა). აშკარაა, რომ ქართველთა წარმატება მათი ჯარის გაწვრთნილობისა და ორგანიზაციულობის მანიშნებელი იყო და იმ დროისთვის კავკასიურ სამყაროში ქართული ლაშქრის დიდ უპირატესობას მოასწავებდა. გამარჯვება იმ ერთიანობისა და შეკავშირების შედეგიც იყო, რომელიც იმდროინდელ საქართველოსა და ქართულ ჯარში სუფევდა.

ქართული ლაშქარი გაქცეულ მტერს უკან მიჰყვა, დურმუკეთში შევიდა და მოახრა ეს ქვეყანა. ეს თავდაცვითი ღონისძიება იყო და მას ქართული სახელმწიფოს შემდგომი უსაფრთხოება მოითხოვდა. რომ არა ქართულ მიწაზე დურმუკთა ბოლომოულებელი და სასტიკი თავდასხმები, მათ მიერ ქართველი ხალხის აწიოკება, მირვანის წინაშე ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ რთული ლაშქრობის საჭიროება არ დადგებოდა. ამაზე მიანიშნებს ისიც, რომ ქართულმა ლაშქარმა მალევე დატოვა ქვეყანა და უკან, სამშობლოში დაბრუნდა. დურმუკებისთვის ცხადი გახდა, რომ ქართულ სახელმწიფოს მათი თარეშის ალაგმვა ნამდვილად შეეძლო, ხოლო მათ მიერ ქართული ტერიტორიების რბევა არც შემდგომში გახდებოდა დაუსჯელი. ცხადია, რომ ამის შემდეგ ძურმუკებს კარგა ხნით ქართულ ტერიტორიებზე თავდასხმის აღარც ძალა ექნებოდათ და აღარც სურვილი.

ლაშქრობა გეგმის მიხედვით წარიმართა. ახლა შინაური მტრებისა და ქვეყნის მოღალატეების დასჯის ჯერი დადგა. რა თქმა უნდა, მირვანის რისხვას ვერც ჭართალის მკვიდრნი გადაურჩებოდნენ.

ამ დროს საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფო იყო. ქართველების გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდა სხვა ეროვნების მოსახლეობა: ებრაელები, სპარსელები, სომხები, ბერძნები და ა. შ., მათ შორის ძურმუკებიც, რომელთაგან უმაღურობა მხოლოდ ჭართალში გადმოსახლებულებმა გამოიჩინეს.

მირვანი ჭართალს მიადგა, ააოხრა და იქ მცხოვრებ განდგომილ ძურმუკებებს სასტიკად გაუსწორდა. ეს კარგი გაკვეთილი იყო სხვებისთვის და დიდხანს ემახსოვრებოდათ ქვეყნის განდგომისა და ლალატის მსურველებს.

მთის პირობებში საბრძოლო ოპერაციის ჩატარება ყველა ქვეყნის ლაშქრისთვის დიდი გამოცდა და ურთულესი საქმეა. არც თუ ხშირია მათი წარმატებით დამთავრების შემთხვევები. მათგან ზოგიერთი სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით არის შესული. იგი ჯარისკაცებისა და მთავარსარდლებისგან ერთნაირად მოითხოვს განსაკუთრებულ სამხედრო გამოცდილებას, ცოდნას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას.

ქართველთა ლაშქრობა ძურმუკეთში მეფე მირვანის ხელმძღვანელობით მთის პირობებში შესრულებული წარმატებული ლაშქრობების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. რა თქმა უნდა, მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული მწირი ცნობები არ არის საკმარისი ამ საბრძოლო ოპერაციის მიმდინარეობის არა თუ სრული, არამედ თუნდაც მიახლოებითი სურათის შესაქმნელად. წარსულიდან შემორჩენილი ეს მცირე ეპიზოდი არც მირვანის საბრძოლო ხელოვნების, მისი მხედართმთავრული ნიჭის სრულად წარმოსადგენად და არც მრავალი რიგითი ჯარისკაცის გმირული საქმეების წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა.

დურმუკეთის დალაშქრის შემდეგ, მირვანი სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოში ჩრდილო კავკასიელების უკონტროლოდ გადმოსვლის აღსაკვეთად მან დარიალის გასასვლელები საგანგებოდ გაამაგრა, აქ ქვითკირის კედელი ააშენა და მას კარი შეაბა.

ამ ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს შემდგომ ბედზე. იგი ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. მეზობელ ქვეყნებში მისი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა. არა მარტო ჩრდილო კავკასიის ქვეყნები, არამედ ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებიც იძულებულნი იყვნენ მისი სამხედრო სიძლიერისთვის ანგარიში გაეწიათ.

მირვანი იყო „ტანითა სრული, მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი“. ფიზიკურ სიმშვენიერებს თან ერთვოდა სულიერი სრულყოფილებაც. იგი იყო კეთილი, შემწყალებელი და გლახაკთა უხვად გამკითხავი მეფე.

მას სატახტო ქალაქი მცხეთაში ჰქონდა, საიდანაც უშიშრად და გონივრულად მართავდა ქვეყანას.

ამის შემდეგ, კარგა ხანს ჩრდილოკავკასიელებისგან საქართველოს რაიმე სერიოზული პრობლემა არ შექმნია. ყოველ შემთხვევაში ქართული თუ უცხოური მატიანები დუმან ამის შესახებ. ისინი ხან მოკავშირეებად და ხანაც დაქირავებული ჯარის სახით ხშირად იბრძოდნენ ქართველების მხარდამხარ ამა თუ იმ მტრის წინააღმდეგ.

ძველი და ახალი ერების მიჯნაზე, დაახლოებით 20 საუკუნის წინ, ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის, ცხოვრობდნენ ალანები. ადრე ისინი შუა აზიაში, არალისა და კასპიის ზღვის მიდამოებში მომთაბარეობდნენ. ალანებს ქართული საისტორიო წყაროები მათი ერთ-ერთი ტომის სახელის მიხედვით „ოვსებს“ იგივე „ოსებს“ ეძახდნენ. ა. წ. I საუკუნეში ისინი ისე გაძლიერდნენ, რომ თვით ძლიერ რომის იმპერიასაც დაემუქრნენ. „ჩრდილოელ მომთაბარეთა ერთ-ერთი გზა სამხრეთ კავკასიისაკენ, დარიალის ხეობაზე გადიოდა. ქართლის მეფეს შეეძლო დარიალის კარები გაეღო და ალანები თუ სხვა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეები თავის ქვეყანაზე გაეტარებინა, ამიტომ რომი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დარიალის გადასასვლელის გამაგრებითა და ქართლთან კარგი ურთიერთობით. ქართლის მეფეები ამას ქვეყნის სასარგებლოდ იყენებდნენ.

მოგვიანებით, III საუკუნეში, ალან-ოსებმა უკვე ქართლს შეუქმნეს სერიოზული საფრთხე.

### X X X

230-265 წლებში ქართლში (იბერიაში) მეფობდა ამაზასპი. იგი იყო „კაცი ძლიერი და გოლიათი“. მის მეფობაში ქართული სამეფოები რომის ქვეშევრდომები იყვნენ.

ამ პერიოდში განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა იყო რომსა და სპარსეთს შორის. მათ შორის დავა ძირითადად შუამდინარეთის, სომხეთისა და მთელი სამხრეთ კავკასიისთვის (მათ შორის საქართველოსთვისაც), მიმდინარეოდა. ბრძოლა იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქარავნო გზების დაუფლებისთვისაც წარმოებდა. ამ ბრძოლაში სპარსეთის მოკავშირეები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მომთაბარე ალან-ოსები იყვნენ.

ამაზასპის მეფობის დროს, III საუკუნის 40-იან წლებში, ჩრდილო კავკასიიდან დვალეთის\* გზით, მალულად საქართველოში ოსთა საკმაოდ დიდი ლაშქარი შემოვიდა. ისინი სპარსელთა წაქეზებით და მათთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. ამაზასპმა მათ მიერ ქვეყნის საზღვრების გადმოკვეთის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ოსებს კავკასიონის ქედი უკვე გადმოლაზული ჰქონდათ, ამიტომ ლაშქარი დროულად ვერ შეყარა და საქართველოს საზღვართან მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა. სხვა გზა არ იყო, ოსებთან გენერალური ბრძოლა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში უნდა გამართულიყო.

ოსები მდინარე ლიახვთან დაბანაკდნენ. ისინი აქ რვა დღის განმავლობაში იდგნენ, ისვენებდნენ და მთავარი შეტევისთვის ძალებს იკრებდნენ.

ჩვეულებრივ, საქართველოში შემოსვლის შემდეგ, ოსები საქართველოს სხვადასხვა კუთხების მოსახლეობის დასაწიოკებლად მარბიელს უშვებდნენ. თუმცა ამჯერად მათ ჩვეულებას უღალატეს და მარბიელი არ გაუშვიათ, რადგანაც უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ, ვიდრე მოსახლეობის დაწიოკება და თარეში იყო. მათ მიზანს საქართველოს დედაქალაქ მცხეთაზე შეტევა წარმოადგენდა, რისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ.

ოსებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველები მშობლიურ ქალაქს უომრად არ დათმობდნენ და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ამიტომ მთავარი ბრძოლის წინ ძალებს იკრებდნენ.

ოსები კარგი მეომრები იყვნენ და საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრით იყვნენ მოსულნი. მათ წინააღმდეგ საჭირო იყო მთელი საქართველოს დარაზმვა, სრულიად საქართველოს ლაშქრის შეყრა და სრული სამხედრო მზადყოფნა. ამაზასპმა მოუწოდა მთელი ქვეყნის ერისთავებს შეეყარათ ჯარი და მასთან გამოცხადებულიყვნენ. მასთან თავიანთი რაზმებით ჯერ უფრო ახლო მდებარე, აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, კახეთის,

ხუნანის\*, სამშეილდის\* ერისთავები გამოცხადდნენ. შემდგომ მათ შიდა ქართლის ლაშქარიც შემოუერთდათ. დასავლეთ საქართველოს ერისთავებს სიშორის გამო დააგვიანდათ. მათ მოსვლამდე ოსები მუხრანს\* მოადგნენ და მცხეთაზე ჩრდილოეთიდან შეტევისთვის გაემზადნენ.

ამაზასპმა მცხეთის გამაგრება და ოსთა შეტევის მოგერიებისთვის მომზადება დაიწყო. მან მცხეთის ციხეები ლაშქრით გაავსო. შესასვლელთანაც მრავალი მეომარი დააყენა. ქალაქის დაცვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მცხეთის მშვიდობიანი მცხოვრებლებიც. ისინი შესასვლელებსა და ზღუდეებთან იდგნენ. ამაზასპმა ლაშქრის ნაწილი გარე მეომრად განაწესა. სულ მცხეთას ოცდაათი ათასი ქვეითი იცავდა. ამაზასპს მზადყოფნაში ათი ათასი მხედარიც ჰყავდა. ქალაქთან მდგომი ამაზასპი დახმარების მოლოდინში ცხენოსანი ჯარით ოსებს დროდადრო თავს ესხმოდა.

ამაზასპმა მცხეთის გარეთა მისასვლელებიც გაამაგრა. მან არაგვის ორივე ნაპირზე არსებულ სიმაგრეებში ქვეითები ჩააყენა. მხედრებს კი გაუძღვა და საფურცლესთან\* დადგა.

საფურცლესთან ქართული ლაშქარი ასე იყო განლაგებული მცხეთის წინ: ჯერ იდგნენ ცხენოსნები, შემდეგ ქვეითები.

ოსთა და ქართველთა ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ დადგა. მაშინდელი ჩვეულების მიხედვით, მთავარი ბრძოლის დაწყებამდე, ჯერ გმირების, ე. წ. „ბუმბერაზთა“, შერკინებები უნდა გამართულიყო. ამაზასპს გოლიათური აღნაგობა ჰქონდა. იგი საბრძოლო ხელოვნების კარგი მცოდნე, დახელოვნებული და უშიშარი მეომარიც იყო. თანამედროვეებიც შესაბამისად მოიხსენიებდნენ – „უშიში ვითარცა უხორცო“. რაც მთავარია, ის იყო მეფე, რომელიც მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო თავისი ხალხისათვის, ამიტომ იგი ბრძოლის ველზე ორთაბრძოლისათვის პირველი გავიდა. ოსთა ლაშქარი მოშორებით იყო განლაგებული. ამაზასპმა თავისი ზებუნებრივი ძალის ამბავი მშვენივრად იცოდა. მან მშვიდოდიდან სროლა დაიწყო. იგი ისე შორიდან ისროდა ოსთა ბანაკში ისრებს, რომ დაღმართზე მდგომი ოსები სიშორის გამო ვერც კი ამჩნევდნენ, რომ მას ხელში მშვილდი ეჭირა. ამაზასპი ისეთი სიძლიერითა და დამიზნებით სტყორცნიდა ისარს, რომ ოსთა საჭურველი ვერ უძლებდა. პირველ დღეს ამაზასპმა შორიდან სროლით მოკლა თხუთმეტი ოსი და მრავალი ცხენიც განგმირა.

ამავე დღეს, ამაზასპი თავისი მხედრებითურთ ქალაქ მცხეთაში დაბრუნდა, ქვეითები კი იმავე ადგილზე დატოვა.

ქართველთა ლაშქარი რიცხობრივად იზრდებოდა. მას სულ უფრო და უფრო ბევრი მეომარი უერთდებოდა. ღამით მოვიდნენ ის ცხენოსნები, რომლებმაც სისწრაფის გამო იარაღით აღჭურვა ვერ მოასწრეს და აღმოსავლეთ საქართველოს ერისთავებს ჩამორჩნენ.

შერკინების მეორე დღეს, ამაზასპმა კიდევ რამდენიმე ოსი „ბუმბერაზი“ მეომარი გამოასალმა სიცოცხლეს შუბითა და ხმლით. ამაზასპთან შებრძოლება აღარავინ ისურვა. ქართველთა მეფე ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამობრუნდა, თან ქართველი მხედრები გამოიყოლა და ქალაქ მცხეთაში შევიდა.

ქვეითები კვლავ ძველ ადგილზე, ქალაქის კარიბჭესთან დარჩნენ. ქართველთა ლაშქარს ლამით კვლავ მოემატნენ ცხენოსწინები.

ორთაბრძოლები დასრულდა. ქართველებმა ბრძოლის დაწყება გადაწყვიტეს. მართლაც, განთიადზე ამაზასპმა ქართველთა მთელი ლაშქარი, ქვეითები და მხედრები, შეტევაზე გადაიყვანა. გაჩაღდა ძლიერი ბრძოლა. ოსები იძლივნენ და გაიქცნენ. ამაზასპმა მათი ბანაკი თითქმის მთლიანად გაანადგურა. მხოლოდ მცირე მათგანი გადაურჩა სიკვდილს. ბრძოლაში მოიკლა ოსთა მეფეც.

ბრძოლა არც ქართველთათვის დასრულდა უმსხვერპლოდ. სამშობლოს დაცვას მრავალი მათგანი შეეწირა.

ოსთა თავდასხმა შეჩერებული იქნა. ქვეყანამ მათი თარეშისგან დროებით დაისვენა, თუმცა ცხადი იყო, რომ ოსები არ მოისვენებდნენ. სხვა რომ არაფერი, მეფის სიკვდილისთვის მაინც აუცილებლად იძიებდნენ შურს.

ქართველმა მეთაურებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი გამარჯვებით ოსთა თავდასხმებს ვერ შეაჩერებდნენ. ამ დროს ოსეთი საკმაოდ ძლიერი ქვეყანა იყო. მათი თარეშისგან კი ძალზე შეწუხებულნი იყვნენ ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის არა თუ სუსტი, არამედ საკმაოდ ძლიერი ქვეყნები.

საქართველო ამ დროს საკმაო გავლენით სარგებლობდა მეზობელ სამფლობელოებს შორის და თავისი საზღვრების ხელყოფას არავის აპატიებდა. იგი ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო იყო. ჰყავდა ორგანიზებული, გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული ჯარი, და რაც მთავარია, ქართველი ხალხი შეკავშირებული იყო და მეფისა და სამშობლოს სიყვარულით იყო განმსჭვალული.

ყოველივე ეს გაითვალისწინა ამაზასპმა და მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო ოსეთში ლაშქრობის მოწყობა. ამასთან, მიზანშეწონილად ჩათვალა სომხეთთან შეკავშირება და ოსეთზე გაერთიანებული ძალებით შეტევა.

ოსების საქართველოში შემოსევიდან მეორე წელსვე, სათანადო მომზადების შემდეგ ამაზასპმა სრულიად ქართველთა ლაშქარი შეყარა, სომეხთა დამხმარე ძალაც შეიერთა და ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით ოსეთში გაიღაშქრა. ჯერ კავკასიის გადასასვლელებთან, შემდგომ კი საკუთარი ქვეყნის საზღვრებთან ოსებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაწიეს, მაგრამ ამაზასპის შეჩერება ვერ შეძლეს.

ამაზასპი ქართულ-სომხური ლაშქრით ოსეთში შევიდა. მან მთელი ოსეთი მოაოხრა და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა.

ოსებზე გამარჯვება, თანაც მათ საკუთარ სამშობლოში, ქართველთა მეტად დიდი წარმატება და სამხედრო სიძლიერის მანიშნებელი იყო.

გამარჯვებამ ამაზასპს თავბრუ დაახვია. იგი გალადდა, ამპარტავნებამ და უძლეველობის შეგრძნებამ მოიცვა. მან მტრობა დაუწყო ქვეყნის წარჩინებულებს და მრავალი მათგანი უმიზეზოდ გამოასალმა სიცოცხლეს. თავისი შეცდომების, სისასტიკის, უსამართლობისა და მესისხლეობის გამო ქართველებმა ის შეიძულეს.

მან საგარეო ორიენტაციაც შეცვალა და სპარსელებს დაუმეგობრდა. ამისი მიზეზი III საუკუნის შუა წლებში მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური

ვითარების შეცვლა იყო. სპარსეთის შაჰმა შაბურ I-მა (241-272) 253 წ. ქართლის მოკავშირე და ამაზასპის ცოლის ძმა, სომხეთის მეფე, დაატყვევა, შემდგომ კი რომთან რამდენიმე დიდი ბრძოლა მოიგო. ასეთ ვითარებაში ამაზასპი იძულებული გახდა სპარსეთის უზენაესობა ეღიარებინა. მან სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს, სომეხთა მეფეს თავისი და მიათხოვა და სპარსეთის შაჰის კარზე ერთ-ერთი უმაღლესი ადგილი დაიკავა.

ასეთი საქციელის გამო საკუთარ ქვეყანაში მას ძლიერი მოწინააღმდეგები გაუჩნდა. მის წინააღმდეგ პირველებმა დასავლეთ საქართველოს ერისთავებმა გაიღაშქრეს და ამაზასპის ტახტიდან ჩამოვდება განიზრახეს.

ამაზასპის მოწინააღმდეგე ეგრისის, ოძრხეს\*, კლარჯეთისა\* და წუნდის\* განდგომილმა ერისთავებმა სომეხთა მეფეს დახმარება სთხოვეს და აღუთქვეს, რომ ამაზასპის დამარცხების შემთხვევაში მის ძეს, ამაზასპის დისწულ რევს, დასვამდნენ ქართლის სამეფო ტახტზე. სომეხთა მეფემ და სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ პორმიზდარდაშირმა გადაწყვიტა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიების გაფართოების ეს საკმაოდ ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა, ბერძნებიც მოიშველია და საკმაოდ დიდი ლაშქრით მოადგა ქართლს. მან ამაზასპის წინააღმდეგ შეწევნა ოსთა მეფესაც სთხოვა.

ოსეთის დარბევის შემდეგ, ოსთა მეფე ამაზასპის მესისხლე და დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ მარტო მასთან ბრძოლას ვეღარ ბედავდა და ხელსაყრელ დროს უცდიდა. როდესაც ოსთა მეფემ ამაზასპის მოწინააღმდეგე ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრის შესახებ შეიტყო და სპარსეთის მხრიდან სამხედრო დახმარების ამბავი გაიგო, თავისი რაზმებით სიხარულით გამოემართა საქართველოსკენ. ოსები ეგრისის ერისთავთან მივიღნენ.

ამაზასპმა მისი მომხრე ქართველთა ლაშქარი შეკრიბა და სპარსელებს დახმარება სთხოვა. დახმარებამ არ დააყოვნა – სპარსელები მრავალრიცხოვანი ლაშქრით მოვიდნენ.

ქართული მხარე ორად გაიყო: ამაზასპის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად.

ოსებმა და ეგრისელებმა გადმოლახეს მთა მცირე, მათ შეუერთდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განდგომილი ერისთავები თავიანთი რაზმებით და ქართლში მდგომ სომეხთა მეფესთან (იგივე სპარსეთის ტახტის მედმეკვიდრესთან) მივიღნენ.

ამაზასპი თავისი ლაშქრით მათკენ გამოემართა და მათ გუთის-ხევთან მიეწია. ერთმანეთის პირისპირ, საბრძოლველად განლაგებული ლაშქრის წინ კვლავ გამოვიდა ამაზასპი, „უშიში, ვითარცა უხორცო“. იგი დარწმუნებული იყო თავის სიძლიერესა და საბრძოლო ოსტატობაში. ქართველთა მეფე ორთაბრძოლაში იწვევდა მოწინააღმდეგის მამაც მებრძოლებს, თუმცა ვერავინ ვერ გაბედა მასთან შებრძოლება. ამაზასპი იძულებული გახდა თავის ბანაქში დაბრუნებულიყო. ორთაბრძოლა არ შედგა.

საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. პირისპირ განლაგებულმა მოლაშქრეებმა ერთმანეთს შეუტიეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ორივე მხარეს ქართველები

იდგნენ, მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე თანამემამულის ხელით განგმირული დაეცა. ფაქტობრივად ეს იყო სამოქალაქო ომი, ყველაზე სამარცხვინო, სასტიკი და უსამართლო. ბრძოლა ამაზასპა წაგო. იგი მოკლეს, მისი ლაშქარი კი ბრძოლის ველიდან გაიქცა. მათ დაედევნენ და უმეტესობა ამოწყვიტეს. ამ ომში ქართველთაგან არავის გაუმარჯვია. ორივე მხარეს მებრძოლი ქართველები ერთნაირად დამარცხდნენ.

ქართველთა გათიშულობით ისარგებლა სომებთა მეფებ. მან თავისი ძე, ამაზასპის დის შვილი რევი, ქართლის მეფედ დასვა.

## X X X

IV საუკუნის დასაწყისში საქართველო სპარსელებისა და ჰუნების\* (IV ს-ში დაეუფლენ ჩრდილო კავკასიის ველებს) დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ორივე ქვეყანა ჩრდილო კავკასიაზე ბატონობაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა. ამ დროს საქართველოს უკანასკნელი წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი (დაახლ. 280-337) განაგებდა.

საქართველო მძიმე გეოპოლიტიკურ ვითარებაში მოექცა. იგი, ტერიტორიულად მტრულად განწყობილი სახელმწიფოების შუაში მდებარეობდა და იძულებული იყო არა მარტო მონაწილეობა მიეღო სპარსეთისა და ჰუნების პოლიტიკურ თამაშებში, არამედ აქტიური როლიც შეესრულებინა აქ მიმდინარე პროცესებში. ქართულ პოლიტიკურ წრეებში კარგად იცოდნენ, რომ ამ კონფლიქტში ჩართვა საქართველოს კარგს არაფერს უქადდა, თუმცა ქვეყანას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მას თრი უდიდესი სახელმწიფოდან ერთ-ერთის მხარე უნდა დაეკავებინა და მისი გავლენის გაფართოვებისა და განმტკიცებისათვის ებრძოლა.

ვინაიდან ჩრდილოეთიდან, ჰუნების თავდასხმებისგან საქართველოს ბუნებრივი ზღუდე – კავკასიონის მთაგრეხილი, იცავდა, რასაც ვერ ვიტყვით ირანთან სამხრეთ საზღვარზე, ქართველებმა გადაწყვიტეს, რომ ამ უკანასკნელიდან უფრო მეტი საშიშროება ელოდათ და მას მიემხრნენ. მით უმეტეს, რომ აქამდეც ქართველებს სპარსეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მირიანი თავისი მეფობის დასაწყისში ირანელებთან ერთად იბრძოდა ქართლში მოძალებული რომაელების გავლენის წინააღმდეგ.

სანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, IV საუკუნის დასაწყისში, ირანის შაპმა ქასრემ ჰუნებს სძლია და ჩრდილო კავკასია თავის გავლენას დაუქვემდებარა. ამის შემდეგ მან საკმაოდ მზაკვრული ნაბიჯი გადადგა, ჩრდილო კავკასია მირიანს „საჩუქრად გადასცა“, სანაცვლოდ კი მას თავისი დაუძინებელი მტრების – ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამდენად მოიხიბლა ქასრეს გულუხვობით ქართველთა მეფე, ან მოეწონა თუ არა ეს „საჩუქარი“, მაგრამ ერთს კი აღვნიშნავთ, რომ მირიანი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, იმას ვერ მიმსვდარიყო, რომ საქართველო ირანის შემოსევებს იქამდე გადაურჩებოდა, სანამ ქართველები

ჰუნთა აგრესიის შეკავებას, ჩრდილოკავკასიაში ირანის გავლენის განმტკიცებასა და კავკასიის გადასასვლელების დაცვასა და შენარჩუნებას შეძლებდნენ.

მირიანს სხვა გზა არ ჰქონდა და ქასრეს წინადადებას დათანხმდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველთა მეფეს ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმომავალი გადმოსასვლელები უნდა ჩაეკეტა და თავის ტერიტორიაზე არ უნდა გაეტარებინა ირანზე სათარეშოდ მიმავალი ჰუნები. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ჰუნები ამაზე უარს არ იტყოდნენ და ძალით მოინდომებდნენ სპარსეთისკენ გზის გაკაფვას. ამ შემთხვევაში მირიანი მათ უნდა შეძრძოლებოდა და უკან გაედევნა ისინი. ეს გამუდმებულ საბრძოლო მზადყოფნას და დამქანცველ, ყოველდღიურ ბრძოლებს გულისხმობდა. როგორც ვხედავთ, არცთუ მთლად კარგი „საჩუქარი“ გამოუვიდა ქართველთა მეფეს და მისთვის საკმაოდ ძვირი საზღაური უნდა გადაეხადა ქართველ ხალხს. თუმცა საქართველოს არ შეძლო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყნის ნება-სურვილს წინ აღდგომოდა. მას სპარსეთთან ან მეგობრობა უნდა აერჩია, ან მტრობა. მირიანმაც პირველი აირჩია.

მირიანმა კარგად იცოდა, რომ ჰუნებთან დაპირისპირება მის ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა. მაშინ როდესაც ჰუნებს თვით სპარსეთის უძლეველმა შაჰმა-ქასრემ ვერაფერო დააკლო, ირანთან შედარებით პატარა და მცირერიცხოვან საქართველოს მათთან გამუდმებული ბრძოლა წელში გატეხდა, ქვეყანას კი ირანისა და ჰუნების საომარ ველად გადააქცევდა. ქართველი პოლიტიკოსები იმასაც ხვდებოდნენ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ და სწრაფი ტემპებით დაიწყეს საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გამაგრება. აშენდა ახალი და შეკეთდა ძველი ციხე-სიმაგრეები. მირიანმა განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან კახეთსა და ჰერეთში გადმოსასვლელების დაცვას მიაქცია ყურადღება, რადგან ძირითადად აქედან იყო მოსალოდნელი ჰუნებისა და ჩრდილო კავკასიელების შემოსევები. სტრატეგიული მდებარეობის გამო ნეკრესის ციხე-სიმაგრის შეკეთება და გაძლიერება ქართველების უპირველესი საზრუნავი გახდა. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ციხის მცველთა რაოდენობაც. აღმოსავლეთ საქართველო მოიფინა საფორტიფიკაციო ნაგებობებით, რომლებიც ერთიან ჯაჭვს ქმნიდნენ.

მირიანი გონიერი, სამართლიანი, კეთილი და მწყალობელი მეფე იყო. ქართველებიც მას სიყვარულითა და ერთგულებით პასუხობდნენ.

თავისი მეფობის მთელ პერიოდში მირიანს გამუდმებული ომები ჰქონდა ჰუნებთან. ქვეყანას ჩრდილოკავკასიელებიც სასტიკად არბევდნენ.

ამ დროს ჩრდილოკავკასიელთაგან საქართველოს ტერიტორიებს განსაკუთრებით ხშირად ლეკები ესხმოდნენ თავს. ისინი ჰუნებს იშველიებდნენ. ლეკ-ჰუნთა გაერთიანებული ლაშქარი გადმოლახავდა ხოლმე კავკასიონის ქედს, შემოსეოდა კახეთ-ჰერეთის ნაყოფიერსა და მდიდარ ტერიტორიებს, არბევდა და აოხრებდა ქვეყანას. ამ თავდასხმებს აუარებელი ხალხი ეწირებოდა.

რა თქმა უნდა, მირიანი გულხელდაკრეფილი არ უყურებდა საკუთარი ქვეყნის რბევა-ოხრებას. იგი შემოსეული მტრის წინააღმდეგ სასწრაფოდ აგროვებდა ლაშქარს და ლეკ-ჰუნებს ბრძოლას უმართავდა. მათ შორის

შეტაკება ძირითადად ჰერეთის\* ან მოვაკანის\* ტერიტორიაზე ხდებოდა. პირისპირ შეტაკებაში მირიანი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში.

საქართველო ჩრდილოეთიდან შემოსევებს დიდობისა და ძურძუკებისგანაც განიცდიდა. ისინიც ჰუნებს იშველიებდნენ. ყადორისა\* და ვანთლაშეთის\* უღელტეხილების გადმოლახვის შემდეგ, მათი რაზმები პირდაპირ საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ და მდიდარ რაიონებში ხვდებოდნენ. თავდასხმებიც წარმატებული იყო. მათ საკმაოდ მდიდარი დავლა უკარდებოდა ხელში, მრავალრიცხოვანი ტყვებიც მიჰყავდათ. თავდამსხმელები სწრაფად ამთავრებდნენ თარეშს და სამშობლოში კმაყოფილნი და ნადავლით დატვირთულები ბრუნდებოდნენ და რაც მთავარია, ამას საკმაოდ მცირე მსხვერპლის ფასად ახერხებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა უომრად არ თმობდა თავის ქონებას და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეს. თუმცა თავდასხმები ისე მოულოდნელად და სწრაფად ხდებოდა, რომ ხშირ შემთხვევაში დამხვდურები გონის მოსვლასაც ვერ ასწრებდნენ, არათუ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას.

მირიანმა ჩრდილოკავკასიელების თარეშის ასალაგმავად შექმნა მცირერიცხოვანი რაზმები, რომლებსაც უფრო სწრაფი და ეფექტური მოქმედება შეეძლოთ. ისინი ყოველვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ. მათ თავიანთი სარდლები ჰყავდათ. ხშირად ამ რაზმებს თვითონ მირიანი ხელმძღვანელობდა. ლეკების, დიდოების, ძურძუკებისა და ჰუნების მიერ საქართველოს საზღვრების გადმოკვეთის შეტყობისთანავე ქართველთა მორიგე რაზმი მათთან შესახვედრად მიისწრაფოდა. შეტაკებები სასტიკი და დაუნდობელი იყო და მასში თითქმის ყოველთვის ქართველები იმარჯვებდნენ. მტერი ნადავლთან და ტყვებთან ერთად ბრძოლის ველზე მრავალ მებრძოლსაც ტოვებდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. თუმცა თავდასხმებზე ხელს არ იღებდა და ქართულ ტერიტორიებს კვლავ აწიოკებდა. სამწუხაროდ, ქართველი მეომრებიც ეწირებოდნენ ქვეყნის დაცვას.

ქართველმა მეფებმა კარგად იცოდნენ, რომ არც დიდოები, არც ძურძუკები და არც ლეკები არ წარმოადგენდნენ ისეთ ძალას, რომ მათ საქართველოზე თავდასხმა გაებედათ, მითუმეტეს მისი დამარცხება მოეხერხებინათ. მათი წამქეზებელი კი ჰუნთა მეფე იყო. მისი ხელშეწყობითა და გვერდში დგომით გათამამებული ჩრდილოკავკასიელები კი დიდ ზიანს აყენებდნენ ქართველ ხალხს და რაც მთავარია, თავდასხმების შეწყვეტას არ აპირებდნენ.

ქართულ სამეფო კარზე ისიც კარგად იცოდნენ, რომ ასე, საქართველოში შემოსეულ ჰუნთა მცირე რაზმების დამარცხება-განადგურებით, მათი თავდასხმების ალაგმვას ვერ შეძლებდნენ. საჭირო იყო მათ წინააღმდეგ უფრო ფართომასშტაბიანი შეტევის განხორციელება, თუმცა ამას ქართველები მარტო ვერაფრით შეძლებდნენ. ირანელებმა გადაწყვიტეს მოკავშირეს დახმარებოდნენ. მათ ლაშქრობის მოთავეობა და ორგანიზატორობა იკისრეს.

შემუშავდა ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვითაც, ბრძოლა კასპიის ზღვის სანაპიროზე, ჩრდილო და ამიერკავკასიის

დამაკავშირებელ ვიწრო გასასვლელთან მდებარე, კარგად გამაგრებულ და დაცულ დარუბანდის\* ციხესთან უნდა გამართულიყო. დარუბანდის ციხეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ დარუბანდის გავლით ახორციელებდნენ ჰუნები თავიანთ თავდასხმებს სპარსეთზე და სამხრეთ კავკასიის სხვა სამფლობელოებზე. სათარეშოდ გამზადებული ჰუნები მოადგებოდნენ-ხოლმე დარუბანდის ციხეს; დარუბანდის ალყაშემორტყმული და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი დამცველები მათ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა მრავალრიცხოვან ჰუნთა შემოტევას ვეღარ უძლებდნენ. ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ სამხრეთის ქვეყნებზე ჰუნთა შემოსევის შეკავება უკვე აღარაფერს შეეძლო.

მირიანმა ომისთვის მზადება დაიწყო. მან კარგად იცოდა, რომ ლაშქრობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იქნებოდა. ქართველ მეომრებს დარუბანდამდე გრძელი და სახიფათო გზა უნდა გაევლოთ. დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ კი მათ ბრძოლა მოუწევდათ თითქმის აუდებელ ციხე-სიმაგრეში გამაგრებულ, საკმაოდ ძლიერ და კარგად შეიარაღებულ მტერთან.

საჭირო და აუცილებელი იყო როგორც მეომრების სათანადოდ გაწვრთნა, ასევე მათი კარგად შეიარაღება და ფსიქოლოგიური მომზადება. ხანგრძლივი ლაშქრობისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ორგანიზებული ჯარის სურსათითა და იარაღით მომარაგება. ყოველივე ეს, სარდლობისა და ჯარისკაცებისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

დათქმულ დროს, მირიანი თავისი ლაშქრით დარუბანდისკენ გაემართა. ციხის მისადგომებთან შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა. ჰუნები დამარცხდნენ. სპარსელ-ქართველთა ლაშქრობა წარმატებით დასრულდა. მათ დარუბანდის ციხე აიღეს, გაამაგრეს და შიგ თავიანთი მეციხოვნები ჩააყენეს. ამის შემდეგ ისინი დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადასასვლელს.

მატიანე დუმს ომის მიმდინარეობის ზედმიწევნითი აღწერისაგან. ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ეს ომი მირიანისთვის, რომელმაც თავისი სიცოცხლის მანძილზე არაერთი წარმატებული ბრძოლა გადაიხადა, ყველაზე სახელოვანი, მემატიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფროსი ლაშქრობა“ იყო.

ამ გამარჯვებამ ჰუნების თავდასხმები დროებით შეაჩერა, თუმცა მათ მაღლე ისევ განაახლეს შემოსევები და ახალი ძალით შემოუტიეს დარუბანდის გარნიზონს. მირიანს არაერთგზის მოუხდა ციხე-სიმაგრის დამცველებს ქართველთა ჯარით მიშველებოდა. ეს ადვილი არ იყო და მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მირიანმა ქართულ ჯართან ერთად არაერთი გამარჯვება იზიდა. ქართველების სიმამაცე ჰუნების ზარს სცემდა. შეიტყობდნენ თუ არა ქართული ჯარის მისვლას, ჰუნები ხშირ შემთხვევაში ვეღარ ბედავდნენ მათთან შებმას და უომრად ბრუნდებოდნენ სამშობლოში; ზოგჯერ კი წარმატების იმედს არ კარგავდნენ, გულს მოიცემდნენ და მაინც აგრძელებდნენ შეტევას. ამ შემთხვევაში ციხე-სიმაგრესთან სასტიკი ბრძოლები იმართებოდა, რომელიც თითქმის ყოველთვის ქართველთა გამარჯვებით მთავრდებოდა. იმდენად ხშირი იყო მირიანის ბრძოლა

ჰუნებთან, რომ სპარსელებთან ერთ-ერთი საუბრისას მირიანმა აღნიშნა: „ჩემი მთელი სიცოცხლე ჰუნებთან ბრძოლაში მაქვს გატარებული და მრავალგზის საკუთარი სისხლის ფასად დამიცავს სპარსეთი მათგან“. ასეთი იყო ქართველი მეფისა და ქართველი ხალხის სავალალო ბედი. ისინი იძულებულნი იყვნენ სხვა სახელმწიფოს გაძლიერებისთვის დაეთხიათ საკუთარი სისხლი და ასე შეენარჩუნებინათ მშვიდობა საკუთარ ქვეყანაში.

მირიანის მეფობის დროს საქართველოს ოსეთთანაც გაურთულდა ურთიერთობა. გახშირდა მათი თავდასხმები ქართლის ტერიტორიებზე. დარუბანდში მირიანის ლაშქრობების დროს ოსებმა ქართველი მეფის საქართველოში არყოფნით ისარგებლეს და საკმაოდ დიდი ლაშქრით შემოესივნენ ქვეყანას. ისინი არბევდნენ ქართულ ტერიტორიებს და მოსახლეობას ტყვეებად იტაცებდნენ. ქართველი მემატიანის სიტყვით, ოსების ლაშქრობის ორგანიზატორები იყვნენ ფეროშ და კავტია.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე მირიანმა შეყარა დიდი ჯარი და დარიალის გზით გადავიდა ოსეთში. ოსებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველებს, მაგრამ მირიანის შეჩერება ვერ შეძლეს. მან ბრძოლებით გაიარა მთელი ოსეთი. ქართველებმა მთლიანად მოაოხრეს ეს ქვეყანა, სასტიკი ბრძოლებით მიაღწიეს ჰუნთა ქვეყანამდე და უკან, საქართველოში, სხვა გზით, კერძოდ კი, დვალეთის გადმოსასვლელით დაბრუნდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მირიანის ხელი ოსეთის თითქმის ყველა კუთხესა და დასახლებულ ჰუნებს მისწვდა და სასტიკად გაუსწორდა ქართველი ხალხის მტრებს. ამის შემდეგ ოსები დიდხანს ვეღარ ბედავდნენ ქართულ ტერიტორიებზე თავდასხმებს.

მირიანის დროს საქართველოში კაპადოკიიდან\* ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა ქართველთა ერთ-ერთი უპირველესი წმინდანი ნინო. იგი სამეფო ქალაქ მცხეთასთან დაბინავდა და აქედან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება. დაახლოებით 326 წელს ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველო კავკასიელი ხალხების ქრისტიანობაზე მოქცევასაც ცდილობდა, რაც მისიონერების\* წყალობით ნაწილობრივ განახორციელა კიდეც. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მირიანი და დედოფალი ნანა წმინდანებად შერაცხა.

მირიანის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი ბაქარი, რომელმაც ქრისტიანობაზე მოაქცია ის კავკასიელები, რომელთა გაქრისტიანებაც მირიანმა ვერ შეძლო.

X X X

V საუკუნეში საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ. ქართლ-კახეთის ციხე-სიმაგრეებში მცველებად სპარსული გარნიზონები იდგნენ. მტერმა

განსაკუთრებით ქრისტიანობას შეუტია. სპარსელებმა გარყვნეს და დაანგრიეს ეკლესიები და ქვეყანაში თავისი რელიგიის – მაზდეანობის\* გავრცელება დაიწყეს.

სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ ქართველი მეფები: არჩილი, მირდატი (მეფობდნენ V საუკუნის დასაწყისში). მათი მეთაურობით ქართველი ხალხის ბრძოლა უშედეგოდ მთავრდებოდა. სპარსეთი ძლიერი ქვეყანა იყო და პატარა საქართველოს უჭირდა მისთვის რამე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, თუმცა ქართველები ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ და მედვრად იბრძოდნენ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. სპარსელებთან ბრძოლაში ქვეყანა დასუსტდა და მას ჩრდილოკავკასიელებმაც შემოუტიეს.

საქართველოს მეფის მირდატის გარდაცვალების (V საუკუნის შუა წლები) შემდეგ ქვეყანა ფაქტიურად უმეფოდ დარჩა. მისი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ვახტანგი, მამის გარდაცვალების დროს შვიდი წლის იყო. მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მომძლავრებული სპარსელებისა და ჩრდილო კავკასიელების თარეშის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ეხელმძღვანელა. ქვეყანას ძლიერი მმართველი სჭირდებოდა. ქართლის სპასპეტი\* საურმაგი და სხვა ერისთავები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მოძალადების თარეშის ასალაგმად, მტრის მრავალჯერ ამარცხებდნენ კიდეც, მაგრამ ასეთი გამარჯვებები მხოლოდ დროებით შედეგს იძლეოდა და თავდასხმები არ მცირდებოდა. ქვეყანა განსაკუთრებით ოსთა თარეშისგან იყო შეწუხებული.

ვახტანგი იზრდებოდა. იგი მცირეწლოვანების მიუხედავად კარგად იყო დაუფლებული სამხედრო საქმეს. როგორც ცნობილია, საქართველოში ბიჭებს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ საბრძოლო ხელოვნებას. ქვეყანა, რომელიც მტრისგან თავდასხმებს თითქმის ყოველდღიურად განიცდიდა, კარგად გაწვრთნილ და სამხედრო ხელოვნებაში დაოსტატებულ მეომრებს საჭიროებდა. მტრის მრავალრიცხოვნობის გამო, ერთ ქართველზე რამდენიმე მოძალადე მოდიოდა. ქართველებიც სწორედ სიმამაცის, ამტანობის, საბრძოლო ხელოვნების კარგი ცოდნით, ქვეყნის სიყვარულითა და ერთგულებით ახერხებდნენ მათთან გამკლავებას.

განსაკუთრებულ წვრთნასა და ვარჯიშში იზრდებოდნენ წარჩინებული ოჯახის შვილები. ისინი ომის დროს სხვებისთვის მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყვნენ. მათ, ჯარისკაცებისგან გამსხვავებით, საბრძოლო ილეთების კარგ ცოდნასთან ერთად, ბრძოლის გაძლოლაც უნდა შესძლებოდათ და გადაწყვეტილებების სწრაფი და გონივრული მიღებაც.

ეს განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წევრებს, გამორჩეულად კი, ტახტის მემკვიდრეს ეხებოდა. მეფე და უფლისწულები ხშირ შემთხვევაში არა მარტო ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ საბრძოლო ოპერაციებს, არამედ უშუალოდ მონაწილეობდნენ კიდეც შეტაკებებში. ამიტომ ისინი ერთდროულად უნდა ყოფილიყვნენ კარგი ჯარისკაცებიც და საუკეთესო მხედართმთავრებიც.

ქართული ტრადიციის მიხედვით, მეფის შვილები გარკვეულ დრომდე მშობლებისგან მოშორებით, დიდებულთა ოჯახებში იზრდებოდნენ. ისინი სწორედ აქ ილებდნენ იმ დროისთვის შესაბამის განათლებას. ძველ ქართულში

აღმზრდელს, „მამამბუძე“ ეწოდებოდა. ვახტანგის, როგორც ტახტის მემკვიდრის, მამამბუძედ ტრადიციისამებრ საქართველოს მთავარსარდალი საურმაგი შეირჩა.

რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი, რომ საქართველოში ტახტის მემკვიდრე პატარაობიდანვე ქვეყნის მთავარსარდლის ოჯახში და მისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. ქვეყნის უპირველესი სამხედრო პირი მომავალი მეფის აღზრდას სწორედ საუკეთესო ქართული ტრადიციებისა და იმ დროინდელი მსოფლიოს სამხედრო ხელოვნებაში არსებულ უკანასკნელ მიღწევათა შესაბამისად წარმართავდა. საურმაგის ხელმძღვანელობით ვახტანგმა არა მარტო საბრძოლო ილეთები ისწავლა, არამედ ამტანობასა და გამძლეობასაც მიეჩია და რაც მთავარია, საუკეთესო მხედართმთავრული თვისებები შეიძინა. მას ასევე კარგად უნდა სცოდნოდა ყველა ის გასაჭირი, რაც მის ჯარისკაცებს აწუხებდათ. ამას კი მხოლოდ მაშინ გაითავისებდა, როდესაც თავის თავზე გამოსცდიდა ლაშქრობისა და ველად ყოფნის სიძნელეებს. ტახტის მემკვიდრეს წინააღმდეგობებთან ბავშვობიდანვე უწევდა შეგუება. სამხედრო ხელოვნებასთან ერთად ვახტანგი სასულიერო მწიგნობრობაში, ფილოსოფიასა და იმდროინდელ მეცნიერებაში კარგად განსწავლული პიროვნებაც იყო.

ვახტანგი ათი წლის იყო, როდესაც ოსების საკმაოდ დიდი ლაშქარი გადმოვიდა საქართველოში. ისინი ხშირად აწიოკებდნენ ქართულ მოსახლეობას, თუმცა ამჯერად მათი შემოსევა უფრო სასტიკი, შედეგები კი საკმაოდ მძიმე იყო. მათ მთლიანად ააოხრეს ქართლი მტკვრის სათავიდან ხუნანამდე. ისინი განსაკუთრებით დაუცველ, ვაკე ადგილზე მდებარე დასახლებებს შეესივნენ, მოსახლეობა ააწიოკეს, ნაწილი დახოცეს, უმეტესობა ტყვედ წაიყვანეს, გაირეკეს საქონელი და ხელთ იგდეს ქართველების მთელი ქონება. ოსებმა ციხე-სიმაგრეს თავი აარიდეს, რადგან იქ მყოფი დამცველების წინააღმდეგობის შეეშინდათ. მხოლოდ ქალაქ კასპს შეუტიეს. ციხე-სიმაგრის ქართველი გარნიზონის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, კასპის აღება შეძლეს, რის შემდეგაც მიწასთან გაასწორეს ქალაქი, მისი მცხოვრებლები კი ტყვედ ჩაიგდეს. დატყვევებულთა შორის ქართველი მეფის ასული, ვახტანგის და – სამი წლის მირანდუსტიც იყო. იგი ამ დროს კასპში იმყოფებოდა, რადგანაც კასპის სპასალარის ოჯახში იყო გაძიძავებული.

ამ შემოსევის დროს ოსებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს და სასტიკად მოაოხრეს მთელი ქართლი, კლარჯეთი, ეგრისი, კახეთი, რანი\*, მოვაკანი და სამშობლოში დარუბანდის გზით გამარჯვებულები და ნადავლით დატვირთულნი დაბრუნდნენ. დარუბანდელები მათთან იყვნენ შეკრულნი და გზაც ამიტომ მისცეს.

ოსთა თარეშს „ბერძენთა“ (ბიზანტიელთა) შემოსევაც დაერთო. მათ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ეგრის-წყლიდან ციხე-გოჯამდე\*, ტერიტორია დაიპყრეს და აქ გაბატონდნენ. ქართველ ხალხს მძიმე დღეები დაუდგა.

მცირეწლოვანების გამო ვახტანგს არ შეეძლო სამშობლოს მფრებისთვის საკადრისი პასუხის გაცემა. ამგვარ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, სანამ ქართველ უფლისწულს თხუთმეტი წლის შეუსრულდებოდა.

როდესაც ვახტანგი თხუთმეტი წლის გახდა, მან ქალაქ მცხეთაში მოაწყო სამეფო რეზიდენცია, მოუწოდა ქართლის ყველა ერისთავს და ისინი მცხეთაში შეკრიბა. წარჩინებულებს ქვეყნის შემდგომ ბედზე უნდა ემსჯელათ. დარბაზობას ვახტანგი შემაღლებით მდგომ სამეფო ტახტზე მჯდომი უძლვებოდა. მასთან ახლოს ისხდნენ ქვეყნის სპასპეტი (ქართული ჯარების მთავარსარდალი) ჯუანშერი და ორი ეპისკოპოსი. სელის სკამებზე ისხდნენ ერისთავები; დარბაზობას ესწრებოდნენ ათასისთავები, ასისთავები და მთელი ერის წარმომადგენლები. ისინი ფეხზე მდგომი უსმენდნენ კრებას.

პირველი სიტყვა დარბაზობაზე ვახტანგმა წარმოთქვა. იგი კარგი ორატორი\* იყო და მაღალი ხმით, გარკვევით და ბრძნულად მეტყველებდა. მან აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობა ქრისტიანული სარწმუნოების ცნებების დარღვევისა და იმ ცოდვების შედეგი იყო, რომელიც ამ დროს ქვეყანაში სუფევდა. მან დამსწრებს თავისი წინაპრების – ქართველი მეფეების კეთილი საქმეები შეახსენა და ყველას მოუწოდა მასაც გვერდში ამოდგომოდნენ, ვინაიდან მხოლოდ ერთიანობით შეძლებდნენ მტრის დამარცხებას.

ვახტანგი ბრძანებდა: „სირცხვილია ჩვენგან ოსთა თავდასხმების მოთმენა. ეს დამცირება სპარსელებისგან ან ბერძნებისგან რომ ყოფილიყო, კიდევ შეიძლებოდა მოთმენა. სიკვდილი სჯობს ასეთ სიცოცხლეს. ღმერთს მივენდოთ და შეგვეწევა, წინ წარვიმდღვაროთ ჯვარი პატიოსანი და მისი დახმარებით ვიძიოთ ოსებზე შური“.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, საქართველოს უპირველეს პრობლემად ვახტანგმა ოსთა თარეშის ალაგმვა დაასახელა. ამით მან უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა სწორედ ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრების დაცვას და აქ მცხოვრებ ხალხებთან ნორმალურ ურთიერთობას.

ქართველ წარჩინებულებს საკუთარი თვალით ჰქონდათ ნანახი ოსთა თარეშის მავნე შედეგები და თვითონაც კარგად ჰქონდათ გათავისებული მათი თავდასხმების ალაგმვის დიდი მნიშვნელობა. მათ მოიწონეს ვახტანგის განზრახვა.

სიტყვა ჯუანშერ სპასპეტმა ითხოვა, რომელმაც ფაქტიურად ქართველი ხალხის ნება გამოხატა. მან თქვა: „ბოლო ხუთი წლის მანძილზე ოსებმა განსაკუთრებით შეგვაწუხეს და მრავალი მწუხარება მოგვიტანეს. მათ ისარგებლეს თქვენი მცირეწლოვნებით, რის გამოც არ შეგძლოთ მეფობა, ბრძოლა და ომის წინამდლოლობა. ახლა, მართალია, თქვენ აღარც სიბრძნე გაკლიათ, არც ძალა, არც სიმხნე, გაიზარდეთ კიდეც და მეფობაც შეგიძლიათ, მაგრამ ბრძოლაში მონაწილეობისთვის საჭირო ასაკი ჯერ არ შეგსრულებიათ. ამიტომ უკეთესი იქნება თუ თქვენ შეარჩევთ ერთ-ერთ ჩვენთაგანს, ვინც ჯარს უხელმძღვანელებს. დანარჩენები მას უსიტყვოდ დავემორჩილებით. ღმერთის შეწევნით, ჩვენ წავალთ ოსეთში და ვიძიებთ შურს იმ ბოროტებაზე,

რასაც ისინი ჩვენს მიმართ ჩადიან. თქვენ დარჩებით სამეფოში და გააგრძელებთ სამეფოს მართვას. თუკი ჩვენი ცოდვების გამო ღმერთი განგვიდგება და ოსები დაგვამარცხებენ, თქვენ უვნებელი იქნებით და ქვეყანაც გადარჩება, რადგანაც მეფე ცოცხალი ეყოლება. ხოლო თუ თქვენ ჩვენთან ერთად წამოხვალთ ლაშქრობაში და ოსები დაგვამარცხებენ, ამ შემთხვევაში, ქვეყანას დალუპვისგან ვეღარაფერი იხსნის, რადგანაც მას თქვენს გარდა სხვა პატრონი არ ჰყავს“.

ჯუანშერის აზრი დანარჩენმა წარჩინებულებმა და ერისთავებმაც მოიწონეს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ისინი ვახტანგს შინ დარჩენას ურჩევდნენ.

მათი მოწოდება ვახტანგმა არ გაიზიარა. მან თქვა: „მე მთელი ჩემი სიცოცხლე მწუხარებაში გავატარე, რადგანაც არ მასვენებდა ჩემი დისა და მასავით ტყვედ წაყვანილი ჩვენი თანამემამულეების სიბრალული, ამიტომ ვალდებული ვარ, რომ განსაცდელში ჩემი ხალხის გვერდით ვიყო. ასეთ სიცოცხლეს კი სიკვდილი მირჩევია“.


წარჩინებულები მიხვდნენ, რომ ვახტანგს ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და უარი აღარ უთქვამთ. ვახტანგი მათ შემდეგი სიტყვებით დალოცეს: „ცხოვნდინ, მეფეო, უკუნისამდე. შენი განზრახვისამებრ იყოს. ყოვლის დამბადებელმა ღმერთმა მოგივლინოს ანგელოზი, რომელიც მტრების დასამარცხებლად და შენი მეფობის განსამტკიცებლად ძალას მოგცემს“.

დარბაზმა ოსეთზე ლაშქრობა ერთხმად გადაწყვიტა. ერისთავებმა თავიანთ სამფლობელოებს მიაშურეს. მათ ლაშქრობისთვის ჯარი უნდა შეეკრიბათ, მოემზადებინათ და სათანადოდ შეეიარაღებინათ.

ოსეთზე ლაშქრობა საკასუხიმგებლო იყო. ეს კარგად იცოდა ვახტანგმა, ამიტომ დასახმარებლად დედის ძმას, ამიერკავკასიის ერთ-ერთი ძლიერი სამფლობელოს, რანის ერისთავ ვარაზ-ბაკურს მიმართა. იგი სიხარულით დათანხმდა. ოსები მის სამფლობელოსაც არბევდნენ, ის კი წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდა.

ქართლის მთელი ლაშქარი მუხნარსა და ხერქში შეიკრიბა და არაგვის ორივე ნაპირზე დაბანაკდა. მემატიანის გადმოცემით, აქ ასი ათასი ცხენოსანი და სამოცი ათასი ქვეითი მოგროვდა. ვარაზ-ბაკურმა თორმეტი ათასი ცხენოსანი გამოგზავნა. მემატიანის ცნობა ლაშქრის რაოდენობის შესახებ, ჩვენი აზრით, გადაჭარბებულია. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტი რიცხვი მოვიძიოთ მეომართა რაოდენობის შესახებ. მხოლოდ ისაა ცხადი, რომ ოსეთზე სალაშქროდ საკმაოდ დიდი ჯარი იყო მოგროვილი.

ვახტანგი გავიდა ქალაქ მცხეთიდან. მან დაათვალიერა ლაშქარი და მოეწონა ლაშქრის სიმრავლე, ცხენების მდგომარეობა და ჯარისკაცების შეიარაღება.



მეფემ სამეფოს გამგებლად დატოვა დედა – საგდუხტი და და - ხუარანძე. მან შეადგინა ანდერძიც, რომელშიც ეწერა, რომ თუ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა, მისი და ხუარანძე მიეთხოვებინათ ვახტანგის მამის ძმისწულის – მირიანისთვის და მეფეც ის გახდებოდა. მან მირიანი დატოვა მცხეთაში, დედასა და დასთან ერთად. ანდერძი კი დედას მისცა ისე, რომ ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა.

ვახტანგი ლაშქარს წაუძღვა და თიანეთში დადგა. აქ მას შეუერთდნენ „ყოველნი მეფენი კავკასიანი“, რომლებმაც თან ორმოცდაათი ათასი მხედარი მოიყვანეს (ამ შემთხვევაშიც ქართველი მემატიანის ცნობა, ალბათ, გაზვიადებულია).

თიანეთში შესვენების, ჯარის ხელახალი დათვალიერების, საკვებითა და იარაღით მომარაგების შემდეგ, ვახტანგი გზას გაუდგა. ქართული ლაშქარი დარიალის გზით გადავიდა ჩრდილო კავკასიაში. ამ დროს ვახტანგი უკვე თექვსმეტი წლის იყო.

ოსეთის მეფეებმა დიდძალი ლაშქარი შეკრიბეს. მათ ჰუნებიც მოიშველიეს და ვახტანგს მდინარე თერგის ნაპირზე, დარიალის ციხის ქვემოთ დაუხვდნენ.

მოწინააღმდეგეთა ჯარები მდინარე თერგის ამიერ და იმიერ ნაპირებზე განლაგდნენ. ამ ადგილას მდინარე თერგის ორივე მხარეს ვაკე-ადგილი იყო გადაჭიმული, რომელიც ქარაფოვანი<sup>\*</sup> კლდეებით იყო შემოსაზღვრული. ორივე ლაშქარმა კლდეებზე გამავალ გზებზე გუშაგები დააყენა, რათა დაეცვა თავი ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმებისგან. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე

ქართველები და ოსები ამ ველზე ერთმანეთის პირისპირ შვიდი დღის განმავლობაში იდგნენ. შვიდივე დღეს მდინარის ნაპირზე მიმდინარეობდა „ბუმბერაზთა“ ორთაბრძოლები.

ოსების დამხმარე პუნთა ჯარებში იყო ერთი გოლიათი, რომელსაც თარხანი ერქვა. პირველ დღეს ბრძოლის ველზე სწორედ ის გამოვიდა. მან ქართველი მეომრების გასაგონად ხმამაღლა დაიძახა: „მოგმართავთ თქვენ, ვახტანგის მეომრებს, ვინც თქვენ შორის უძლიერესი არის, გამოვიდეს ჩემთან საბრძოლველად“.

ვახტანგის მხრიდან მასთან შებრძოლება ისურვა სპარსთა დამხმარე ლაშქრის ერთ-ერთმა მეომარმა ფარსმან-ფარუხმა. მის სიმამაცეზე ლეგენდები დადიოდა. ბრძოლაში მისი დამმარცხებელი არავინ მოიძებნებოდა. ამბობდნენ, რომ მას მრავალი ლომი ჰყავდა შეშველი ხელით შეპყრობილი და მოკლული.

თარხანი და ფარსმან-ფარუხი ბრძოლის ველზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. მისალმების ნიშნად ორივემ ხმამაღლა შესძახა და ერთმანეთს მიაშურეს. პირველივე შებრძოლებისას თარხანმა იმარჯვა, მან ფარსმან-ფარუხს ხმალი ჩაბალახზე\* დაჰკრა და თავი ბეჭამდე გაუპო. ამან ვახტანგის ლაშქარში შეშფოთება გამოიწვია, რადგანაც არავინ დარჩა ფარსმან-ფარუხის მსგავსი გმირი.

იმ ღამეს ვახტანგი თავის კარავში ლოცვად დადგა. იგი გათენებამდე მუხლჩაუხრელად იდგა ხატების წინ და ღმერთს ქართველთა შეწევნას ევედრებოდა. ვახტანგმა თარხანთან შებრძოლება გადაწყვიტა. ის ძლიერიც იყო და „უშიშიც, ვითარცა უხორცო“. ვახტანგს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ თუ ღმერთის შეწევნაც ექნებოდა, თარხანს აუცილებლად დაამარცხებდა.

გათენებისთანავე თარხანი მდინარის ნაპირს მოადგა. ის ხმამაღლი შეძახილით ორთაბრძოლაში იწვევდა მებრძოლებს და თანაც იმუქრებოდა. ვახტანგის ლაშქრიდან მასთან შებრძოლება ვერავინ გაბედა.

მაშინ ვახტანგმა თავის მეომრებს განუცხადა, რომ ის აპირებდა თარხანთან შერკინებას, რაშიც ღმერთის შეწევნის დიდი იმედი ჰქონდა.

ამის გაგებაზე წარჩინებულები შეშფოთდნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ვახტანგისთვის თარხანთან შებრძოლების განზრახვაზე ხელი აელებინებინათ. დიდებულები ფიქრობდნენ, რომ ვახტანგს ახალგაზრდობის გამო თარხანის დამარცხებისთვის საკმარისი საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდა.

ვახტანგმა მათი რჩევა არ გაითვალისწინა. ბრძოლის ველზე გასვლის წინ იგი ცხენიდან ჩამოქვეითდა, მიწაზე დაემსო და ღმერთს თაყვანი სცა. მან მაღლა აღაპყრო ხელები და ღმერთს შეჰდადადა: „უფალო, შენ იყავი ჩემი შემწე. ამ ბრძოლაში შენი დახმარების იმედი მაქვს და უფრო შეზე ვარ მინდობილი, ვიდრე საკუთარ ძალაზე“.

ამის შემდეგ ვახტანგი ბრძოლის ველზე გავიდა. მის ზურგს უკან მისი ჯარი განლაგდა. ქართველთა ლაშქარი სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ჯარისკაცებისგან შედგებოდა. თავის ღმერთს ყველა ვახტანგის გამარჯვებას ევედრებოდა.

ვახტანგმა მოწინააღმდეგე შუბით განგმირა. ამის დამნახავ ქართველებს სიხარულის ყიფინა აღმოხდათ და ღმერთს მადლობა შესწირეს.

მოძღვნო დღეს, ბრძოლის კელზე „ბუმბერაზი“ უკვე ოსების მხრიდან გამოვიდა. მას ბაყათარი ერქვა. იმ დროიდან, რაც მან მეომრული ცხოვრება დაიწყო, მისი მძლეველი ჯერ არ გამოჩენილიყო. გამარჯვებებში მას საბრძოლო ხელოვნების კარგ ცოდნასთან ერთად ათლეტური აღნაგობაც უწყობდა ხელს.

ვახტანგმა თავისი მეომრები საბრძოლველად განალაგა. თვითონ კი ჯავშნით შეჭურვილ თავის ბედაურზე ამხედრდა, აიღო ვიგრის (ზღვის თევზის) ფარი, რომელსაც მახვილი ვერ ჰქვეთდა და ბაყათარს მდინარეზე გადმოსვლა უბრძანა.

ბაყათარმა მდინარე გამოვლო და ნაპირზე გამოსვლისთანავე ვახტანგს ისრების სროლა დაუწყო. ქართველთა ახალგაზრდა მეფე შორიდანვე ხედავდა მისკენ მომქროლავ ისრებს, იგი მკვირცხლად ხტებოდა სხვადასხვა მხარეს და მარჯვედ ირიდებდა მათ თავიდან. ქართველთა და ოსთა ლაშქრებიდან ისმოდა ბუკებისა და დაფდაფებისა ხმა და მებრძოლების ხმამაღალი ყიფინა, რომლებიც თავიანთ გმირებს ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ. მთები და ბორცვები ბანს აძლევდნენ ამ ხმაურს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გარემო იძროდა.

ბაყათარის ნასროლიდან ვახტანგის ფარს მხოლოდ ორი ისარი მოხვდა. თუმცა მათ ვერ შეძლეს ფარის გაკვეთა. ბაყათარი მიხვდა, რომ ვახტანგისთვის ისრის მორტყმა შეუძლებელი იყო და ხერხს მიმართა. გადაწყვიტა მისთვის ცხენი მოეკლა. მისი აზრით, ჩამოქვეითებული ვახტანგი ვეღარ შეძლებდა გამკლავებას და მისი დამარცხება გაუადვილდებოდა. მართლაც, ბაყათარმა ვახტანგს ცხენი დაუჭრა; ვიდრე ვახტანგის ცხენი დაუცემოდა, ქართველთა მეფემ იმარჯვა, ბაყათარს მისწვდა და მხარზე ხმალი ისეთი სიძლიერით დაარტყა, რომ გულამდე გაკვეთა. ბაყათარმა მაშინვე სული განუტევა.

ორთაბრძოლები დამთავრდა. ომის დროც დადგა. ვახტანგ გორგასაღმა ლაშქარი საბრძოლველად დააწყო და მას წინ გაუძლვა. ქართველებმა ოსებს შეუტიეს. ქართველთა ჯარი ასე იყო განლაგებული: წინ „ცხენ-თოროსანი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანი“ ანუ მძიმედ შეჭურვილი მხედრობა მიდიოდა. მას უკან ასევე მძიმედ შეჭურვილი ქვეითები მიჰყვებოდნენ, რომელსაც მსუბუქად შეიარაღებული ქვეითები მისდევდნენ. მეფე თავისი რჩეული მეომრებით ლაშქრის უკან იდგა.

ოსები წინასწარ იყვნენ ჩასაფრებულნი კლდეების უკან და იქიდან დაუშინეს ისრები. ისრები წვიმასავით მოდიოდა.

ლაშქრის უკან მოქცეული ვახტანგი შეძახილებით ამხნევებდა თავის ჯარისკაცებს და თან სათანადო მითითებებს აძლევდა მათ. წინ მიმავალმა ცხენ-თოროსნებმა აიარეს ყველაზე რთული, ქარაფებზე მიმავალი გზა და ავიდნენ ვაკეზე. მათ ქვეითები და ცხენოსნები მიჰყვნენ. ოსებსა და ქართველებს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ვახტანგი ისე იბრძოდა, რომ როგორც მემატიანე წერს: „თუ მარჯვენა მხარეს იბრძოდა, მისი შემხედვარენი მარცხენა მხარეს ძრწოდნენ, ხოლო თუ მარცხენა მხარეს – მარჯვივ მყოფ ისებს ედგათ შიშის

ზარი“. ბრძოლის საშინელ ხმაურშიც კი ადვილი საცნობი იყო ვახტანგის ხმა. იგი როგორც ლომი, ისე იბრძოდა და მისი ხმაც ლომივთ ქუჩდა. მას განუყრელად თან ახლდა ორი მხედარი: თან შეზრდილი ძუძუმტე, არტავაზი, საურმავ სპასპეტის ძე და ბივრიტიან სეფე-წული\*. ისინიც მხნედ იბრძოდნენ და მოლაშქრებს სიმამაცისა და გამძლეობის მაგალითს აძლევდნენ.

ოსებმა ქართველების შემოტევას ვერ გაუძლეს, ბრძოლის ველი მიატოვეს და გაიქცნენ. ქართველები უკან მიჰყვნენ და მრავალი გაქცეული გამოასალმეს სიცოცხლეს, ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდეს. ქართველები ოსების სიკვდილზე მეტად ტყვეების ხელში ჩაგდებით იყვნენ დაინტერესებულნი, რათა ისინი ოსების მიერ ქართლის ტერიტორიების რბევის დროს ხელში ჩაგდებულ ქართველ ტყვეებზე გაეცვალათ.

პირველი წარმატებული ბრძოლის შემდეგ ქართველი მეომრები უკან, ბანაკში დაბრუნდნენ. აქ მათ სამი დღის განმავლობაში დაისვენეს, ღმერთს მადლობა შეწირეს, დაჭრილებს უმკურნალეს და დახოცილ გმირებს უპატრონეს. მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა ქართული ლაშქარი ოსეთის ტერიტორიაზე.

ვახტანგმა ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაყო და ოსეთის სხვადასხვა მხარეს შეუსია. მთელი ლაშქრით ერთი მიმართულებით სიარული, რა თქმა უნდა, არა მარტო გაჭირდებოდა, არამედ შეუძლებელიც იქნებოდა. ვახტანგის არჩეული ტაქტიკით ოსეთის დაპყრობა მოკლე დროში მოხდებოდა. დროის გაწელვა, რა თქმა უნდა, არ შედიოდა ვახტანგის ინტერესებში. როგორც ცნობილია, უკვე ადრეულ შემოდგომაზე (სექტემბრის ბოლოს) მთებში ამინდი ფუჭდება, ჯერ წვიმები იწყება, რაც გზებისა და მთის მდინარეებზე არსებული ხიდების დანგრევას იწვევს, ეს კი გადაადგილებას ართულებს. მითუმეტეს, მოძრაობა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა დიდი ლაშქრისთვის, განსაკუთრებით, ცხენოსნებისა და მძიმედ შეჭურვილი კავალერიისათვის. ეს ჯარის სხვადასხვა ადგილებში ჩარჩენას და მათი ერთმანეთისგან მოწყვეტასაც გამოიწვევდა.

ვახტანგის მიერ არჩეული ტაქტიკით ქართველებმა მალევე შეძლეს მთელი ოსეთის დაპყრობა. მემატიანე მოკლედ და ამომწურავად აღწერს ამ ამბებს: ქართველები „გაიფანტნენ ოვსეთის დასაპყრობად, შემუსრნეს მათი ქალაქები, შეიპურეს ტყვეები და ურიცხვი ნადავლი ჩაიგდეს ხელში“.

ვახტანგი ოსების დამარცხების შემდეგ ყივჩაღეთს შეესია და ეს მხარეც დაიმორჩილა. ჩრდილოეთიდან თავდასხმების აღსაკვეთად ვახტანგმა „შექმნა ოსეთის კარი, რომელსაც დარიალი ერქვა“. აქ მან ააშენა მაღალი დამცავი კედლები. მის მცველებად კი მახლობლად მცხოვრები მთიელები დაადგინა. ასე გაამაგრა ვახტანგმა ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის საკმაოდ საშიში მონაკვეთი და საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეუქმნა. გატარებული ღონისძიებების შემდეგ ქართველთა მეფის დაუკითხავად ჩრდილოეთიდან ბუზიც ვეღარ შემოფრინდებოდა. ვახტანგ მეფის ცხოვრების აღმწერელი ქართველი მემატიანე ჯუანშერი წერს, რომ ამიერიდან ოსებსა და ყივჩაღებს აღარ შეეძლოთ ქართველთა მეფის ნებართვის გარეშე ამიერკავკასიაში გადმოსვლა.

ამ პერიოდში ოსეთის მოსაზღვრედ მდებარეობდა პაჭანიკეთი, მის მეზობლად კი ჯიქეთი\*, თუმცა მოგვიანებით მათი საზღვრები რამდენადმე შეიცვალა. როგორც ჩანს, ეს ხალხი ოსეთს ზურგს უმაგრებდნენ საქართველოზე თავდასხმების დროს და თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველების აწიოკებაში, ამიტომ ვახტანგმა მათი დასჯა გადაწყვიტა. გორგასალმა ლაშქრის ნაწილი ოსეთში დატოვა, დანარჩენით კი პაჭანიკებსა და ჯიქებს შეუტია. ამ უკანასკნელებმა მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს. სასტიკი ბრძოლები ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ქართველებმა ჯიქეთი და პაჭანიკეთიც დაიპყრეს და ისევ ოსეთში მიბრუნდნენ.

ოსთა მეფეები კავკასიონის მთებში იყვნენ შეხიზნულნი და ვახტანგის ქვეწიდან წასვლას ელოდნენ. ქართველების მიერ პაჭანიკეთისა და ჯიქეთის დაპყრობის შემდეგ მიხვდნენ, რომ ქართველები ადვილად არ დატოვებდნენ მათ ქვეყანას. ამიტომ ვახტანგს დაზავებისთვის მოციქულები გამოუგზავნეს და მისი დის სანაცვლოდ ოცდაათი ათასი ოსი ტყვე ითხოვეს, რომელთაგან უმეტესობა ოსების საუკეთესო გვარის შვილები იყვნენ და სახელდებით იყვნენ ჩამოთვლილი. ვახტანგი ისთა მოთხოვნას უყოფმანოდ დათანხმდა. ტყვეების გაცვლა შედგა. ამდენი წნის განშორების შემდეგ ვახტანგმა და უკან დაიბრუნა.

დის გამოხსნა დიდი სიხარული არა მარტო ქართველთა ახალგაზრდა მეფისთვის იყო, ამ ამბავს მთელი ქართული ლაშქარი და საქართველო ერთნაირად ზეიმობდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ქართველი მეფის ასულის ამდენი წნის განმავლობაში ოსთა ტყვეობაში ყოფნა ქვეყნის პრესტიჟის საქმე იყო და მის უმწეობასა და სისუსტეზე მიანიშნებდა.

დანარჩენი ტყვეების გაცვლის პირობების შესახებ მოლაპარაკებები ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა. ვახტანგი ექვსი წლის მანძილზე ოსთაგან დატყვევებულ ერთ ქართველ ტყვეში ერთი ოსი ტყვის გაცვლას დათანხმდა. შესაძლოა გამარჯვებული მხარისთვის ეს შეთანხმება არცთუ მთლად საუკეთესოდ მოგვეჩვენოს. ალბათ, მთებში უმწეო მდგომარეობაში შეხიზნული ოსი მეფეები ტყვეთა გაცვლის სხვა უფრო კაბალურ პირობებზეც არ იტყოდნენ უარს, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი უსვამს ხაზს და ნათლად წარმოაჩენს ქართველთა ლაშქრობის ნამდვილ მიზნებსა და საბაბს. არც ვახტანგი და არც სხვა ქართველი პოლიტიკოსები არ ისახავდნენ მიზნად ოსეთის დაპყრობას ან მის, როგორც სახელმწიფოს გაუქმებას, მით უმეტეს, რაიმე მატერიალური სარგებელი, ოსი მოსახლეობის დატყვევება და მონებად გაყიდვა არ იგეგმებოდა ქართული მხარის მიერ. ეს ლაშქრობა, მიუხედავად იმისა, რომ თვით ოსეთის ტერიტორიაზე გაგრძელდა და მის მეზობელ ჩრდილო კავკასიის, სავარაუდო ისების მომხრე, და საქართველოს ტერიტორიებზე თავდასხმებში არაერთგზის მონაწილე პაჭანიკეთისა და ჯიქეთის დარბევითაც დასრულდა, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თავდაცვისა და მისი მოსახლეობის შემდგომ მშვიდობიან ცხოვრებისთვის იყო გამიზნული. მისი უპირველესი ამოცანა ოსეთის დასუსტება (რომლის შემდეგაც იგი ვეღარ შეძლებდა ქართული ტერიტორიების რბევას) და იმ აუარებელი ქართველი ტყვის გამოხსნა და სამშობლოში დაბრუნებაც იყო, რომლებიც

ოსეთში მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ვახტანგმა ისიც კარგად იცოდა, რომ ოსებსა და ქართველებს, როგორც ორ მეზობელ ხალხს შორის, კვლავ უნდა გაგრძელებულიყო ურთიერთობა და თუ ოსური მხარე მუხანათურ თავდასხმებს შეწყვეტდა, ქართული მხარე ყოველთვის მზად იყო კეთილმეზობლობისათვის.

ტყვეების გაცვლით ვახტანგმა ოსეთში ლაშქრობა დაასრულა. ოსეთი საგრძნობლად დასუსტდა და საკუთარ თავზე იწვნია საქართველოს სამხედრო სიძლიერე. ოსთა მეფეები მიხვდნენ, რომ ქართული ლაშქარი რაოდენობით, საბრძოლო გაწვრთნილობით, ორგანიზებულობითა თუ შეიარაღებით მათ ლაშქარს ბევრად აღემატებოდა და მისთვის გადაულახავ სიძნელეს არც ოსეთის მიუვალობა, კავკასიონის ქედის გადალახვა, უგზოობა და მთის პირობებში ბრძოლის სირთულე წარმოადგენდა, მისი ახალგაზრდა მეფე კი არავის შეარჩენდა თავისი ქვეყნის რბევასა და საკუთარი მოსახლეობის ტყვეებად დატაცებას.

რადგანაც ქართულ მხარეს არ ჰქონდა იმის გარანტიები, რომ ოსები საქართველოზე თავდასხმებს შეწყვეტდნენ, ოსეთის დატოვებამდე ვახტანგმა საქართველოს შემდგომ უსაფრთხოებაზე იზრუნა და იმდროინდელ დიპლომატიურ პრაქტიკაში გავრცელებულ ხერხს მიმართა — ოსებს მძევლები გამოართვა. როგორც წესი, ისინი ოსეთის საუკეთესო გვარის შვილები იყვნენ. მძევლების სანაცვლოდ ქართველთა მეფემ იცდაათი ათასი ოსი ტყვე მისცა ოსურ მხარეს.

ოსეთსა, პაჭანიკეთსა და ჯიქეთში ლაშქრობა ვახტანგმა ოთხ თვეში დაასრულა. შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ იგი ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა, რადგანაც გაზაფხული, ზამთარი და გვიანი შემოდგომა (უფრო ზუსტად ოქტომბერ-ნოემბერი) წვიმების, დიდოოვლობისა და სიცივეების გამო გამოუსადეგარია მთაში ნებისმიერი, თუნდაც მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარებისთვის.

მძევლების აყვანის შემდეგ ვახტანგ მეფემ რანთა დამხმარე ძალა და კავკასიელი მეფეები მოლაშქრეებთან ერთად თავიანთ ქვეყნებში მდიდრული საჩუქრებით დატვირთულნი გაუშვა. დარიალის გზით საქართველოში გამოგზავნა თავისი და — მირანდუხტი და ოსთაგან გამოხსნილი ქართველი ტყვეები.

ვახტანგთან მხოლოდ ქართველი მოლაშქრეები დარჩნენ.

ქართველთა მეფემ გზა დასავლეთისკენ, „აფხაზეთისკენ“ გააგრძელა. ამ პერიოდში აფხაზეთში (ეგრისში) საბერძნეთი (ბიზანტია) იყო გაბატონებული. ეგრისზე გავლენის მოპოვებით სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ირანი. V საუკუნის შუა წლებიდან ირანსა და ბიზანტიას შორის ეგრისის დასაპყრობად სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. ომი გარდამავალი უპირატესობით წარმოებდა. ბიზანტიელთა აღვირასნილი ბატონობისა და მათ მიერ ეგრისის მეფე გუბაზის ვერაგულად მოკვლის (554 წ.) გამო აღშფოთებული ადგილობრივი მოსახლეობა აქ გაბატონებულ ბიზანტიელებს დაუპირისპირდა. ირანმა სცადა შექმნილი ვითარებით ესარგებლა და ეგრისში

თავისი მოქმედებები გაააქტიურა, თუმცა უშედეგოდ. 555 წელს ირანის სარდალი ნახორაგანი ეგრისში ორჯერ დამარცხდა, რის შემდეგაც იგი ირანის შაჰმა ხოსრომ საშინელი სიკვდილით დასაჯა: კეფიდან ფეხებამდე ცოცხლად გაატყავებინა.

როგორც ჩანს, ვახტანგმა მიიჩნია, რომ შექმნილი პოლიტიკური ვითარება შესაფერისი დრო იყო „აფხაზეთიდან“ ბერძნების განსაღევნად.

ბრძოლები დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი გამოდგა. იგი სამი წლის განმავლობაში გაგრძელდა. თვითონულ ციხე-სიმაგრეში გამაგრებული ბერძნებისა და მათი მომხრეების დასამარცხებლად ვახტანგის მეომრებს სერიოზული ბრძოლების გამართვა უწევდათ. ვახტანგმა აიღო ეგრისის ყველა ციხე ციხე-გოჯამდე.

შემდეგ ვახტანგი სამეფო ქალაქ მცხეთაში დაბრუნდა. ქალაქის მცხოვრებლები მეფესა და მოლაშქრებს სიხარულით შეხვდნენ. ისინი მათ ფეხქვეშ უფენდნენ სამოსელს, თავზე ფულს აყრიდნენ და ხმამაღალი შეძახილებით ხოტბას ასხამდნენ მათ გმირობას. მართლაც, აქამდე მათ არ სმენოდათ, რომ რომელიმე ქართველ მეფეს ასეთი რთული ლაშქრობა მოეწყო, ასე გონივრულად წარემართა და თანაც ასეთი წარმატებით დაეგვირგვინებინა.

მეომრების მიერ ომში საგმირო საქმეების დაფასების დროც დადგა. ვახტანგმა ის მხედრები და მსახურები, რომლებმაც ოსეთის ლაშქრობის დროს განსაკუთრებული მხნეობა და მოსაზრებულობა გამოიჩინეს, დააწინაურა და წარჩინებულთა რანგში აიყვანა.

დედის ძმას – ვარაზ-ბაკურს ალაფიდან დიდი საჩუქრები გაუგზავნა. კერძოდ კი, ათასი ტყვე-მონა, ათასი სახედარი, ათასი ფაშატი.

ასეთივე საჩუქრები ვახტანგმა ბინქარან „ეპისკოპოს“ სპარსეთის მეფესთანაც გაატანა და ასულის ხელი სთხოვა. სპარსთა მეფემ ვახტანგს ცოლად თავისი ასული – ბალენდუხტი გამოუგზანა, რომელსაც მზითევში საკმაოდ დიდი ტერიტორიები მისცა. კერძოდ კი, სომხითი და „ყოველნი მეფენი კავკასიანნი“.

ამ პერიოდში ვახტანგი უკვე ოცდაორი წლის იყო. იგი იყო „უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუნიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელ ჭურვილი ქუეითი ორემსა მიეწიოს, უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა\*“.

ვახტანგ გორგასალი შესანიშნავი სარდალი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განუწყვეტლად ებრძოდა საქართველოს მტრებს. მის მიღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა 482 წელს ირანის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება იყო. თავდაპირველად წარმატება აჯანყებულთა მხარეს იყო, მაგრამ ვახტანგმა ვერ მიიღო დახმარება ვერც ჰუნებისგან და ვერც ბიზანტიისგან. მას დაერთო შინააშლილობაც. 483-484 წლებში ირანელებთან შეტაკება ვახტანგის დამარცხებით დამთავრდა.

ვახტანგის ზედწოდება „გორგასალი“ სპარსულად „მგლისთავას“ ნიშნავს. მისთვის კი იმიტომ შეურქმევიათ, რომ მას მუზარადზე მგელი ჰქონდა

გამოსახული. შემდგომში საქართველოს სახელმწიფო დროშას „ვახტანგიანსა“ და „გორგასლიანს“ უწოდებდნენ.

ქართულ მატიანებში ვახტანგ გორგასლის მიერ გადახდილ მრავალ სახელოვან ბრძოლაზეა ცნობები შემორჩენილი. თუმცა მათ შორის, როგორც ჩანს, ყველაზე გამორჩეული და დიდებული ქართველთა მიერ ჩრდილო კავკასიაში განხორციელებული ლაშქრობები იყო. ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნდა ქართველ ხალხს. ოცი საუკუნის შემდეგაც საქართველოში თითქმის ყველა ქართველმა, დიდმა თუ პატარამ, იცის ქართველთა ჭაბუკი მეფისა და ქართველი მეომრების ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობისას გამოჩენილი გმირობის გამომზატველი ხალხური ლექსი:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან შემოესმა რეკვა,  
იალბუზზე ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

ქართულმა ეკლესიამ დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ კი 30 ნოემბერი (13 დეკემბერი) დააწესეს.

X X X


1089–1125 საქართველოში მეფობდა დავით IV აღმაშენებელი. მის დროს დამთავრდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება.

დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა დღის წესრიგში იმთავითვე იდგა საქართველოს ჩრდილო მისადგომების საკითხი, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელების და კერძოდ, დარიალის გზის გამაგრებას. დავითმა 1118 წელს აიღო დარიალის, ოვსეთისა და კავკასიონის სხვა გადასასვლელები. გარდა არსებული ციხეების დაკავებისა, ის აქ ახალ თავდაცვით ნაგებობებს აშენებდა კიდეც.

დავით აღმაშენებელმა ლაშქრობები მოაწყო დარუბანდის გადასასვლელზე გავლენის მოსაპოვებლადაც. მან აიღო კავკასიის ციხეები და გამაგრებული ადგილები.

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 25 იანვარს, შაბათ დღეს, 52 წლის ასაკში. დაკრძალულია მის მიერვე აშენებულ გელათის ტაძარში.

ქართულმა ეკლესიამ დიდებული, განათლებული და ძლიერი მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 26 იანვარი (ახ. სტ. 8 თებერვალი) დააწესა.



დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I-ის მეფობის დროს (1125-1155/56 წწ.) ჩრდილო კავკასიელი ტომები ოსები და ყივჩაყები ქართველებთან მშვიდობიან ურთიერთობაში იყვნენ და დემეტრეს რამდენი ათასი მოლაშქრეც უნდა ეთხოვა, ყოველთვის მზად იყვნენ მის დასახმარებლად.

X X X


დიდო დაღესტნის ერთ-ერთი თემია. ის კახეთის მოსაზღვრედ, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარეობს და აღმოსავლეთ საქართველოს ყადორისა და ვანთაშეთის უღელტეხილებით უკავშირდება. ქართული წყაროების ცნობებით, დიდო ოდითგანვე ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო და ქართული ადმინისტრაციული ერთეულების: ჯერ საერისთავოების, შემდგომ კი სამოურავოების შემადგენლობაში შედიოდა.

თამარის დროს (1184–1213 წწ.) საქართველომ თავისი დიდების ზენიტს მიაღწია. თამარი „იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდესი, სვიანი და ბედნიერი, ღვთისმოშიში, ტკბილი, სახიერი“.

თამარის ეპოქაში ხდებოდა მთის მოსახლეობის სულ უფრო მეტი დამორჩილება და მათი თავისუფლების შეზღუდვა. ხელისუფლება მათ სხვადასხვა გადასახადებსა და ბეგარასაც უწესებდა.

თავისუფლებას მიჩვეული მთიელები ენერგიულად იცავდნენ თავს.

## საქართველო XIII საუკუნის I მეოთხედები



სავარაუდოდ, XIII საუკუნის 10-იან წლებში, თამარის მეფობის ბოლოს, აღმოსავლეთ საქართველოში მთიელ-ფხოელთა\* და დიდოელთა განდგომა მოხდა. მათ საქართველოს ბარის რაიონებზე თავდასხმებს მოუხშირეს და მოსახლეობის ტყვეებად დატაცება დაიწყეს.

ძლიერი და გავლენიანი საქართველო, რა თქმა უნდა, არავის აპატიებდა შინააშლილობას, მით უმეტეს, მოსახლეობის რბევას.

თამარმა ლაშქარი შეყარა, მას ამირსპასალარი იოანე ათაბაგი უსარდლა და მთიელების წინააღმდეგ საომრად გაგზავნა.

იოანემ განდგომილებთან საბრძოლველად საკმაოდ საინტერესო სტრატეგია შეიმუშავა. მას შეეძლო კახეთის გადასასვლელებიდან პირდაპირ ამ სამფლობელოებში შესულიყო და ასე შეეტია მათვეს. თუმცა ამირსპასალარმა სხვა გზა აირჩია. „იოვანე აღვიდა მთასა ხადისასა\* და წარვლო წუერ-წუერად და წარადგა ფხოელთა, დიდოთა, ძურძუკთა“. ე. ი. იოანე სხვა გადასასვლელით, კერძოდ კი, ხადიდან, ჯვრის უღელტეხილის აღმოსავლეთით არავის ხეობიდან კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე ავიდა, გზა აღმოსავლეთით ხევ-ხევ გააგრძელა და მეამბოხეებს კავკასიონის ქედის ორივე მხრიდან ერთდროულად შეუტია. ამით იოანემ თავიდან აიცილა არახელსაყრელ ადგილზე ბრძოლა. ამავე დროს, იგი მოულოდნელად და მალულად წაადგა მათ თავს. ეს, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ პირდაპირ შესვლის შემთხვევაში ქართველთა ჯარს ჯერ კავკასიონის საკმაოდ რთული გადასასვლელები უნდა გადაელახა, რომლებსაც განდგომილები აუცილებლად

ჩაკეტავდნენ და შეუპოვარ ბრძოლასაც სწორედ აქ გაუმართავდნენ. ეს კი ორივე მხრიდან აუარებელ მსხვერპლს გამოიწვევდა და საბრძოლო მოქმედებებიც შესაძლოა დიდხანს გაგრძელებულიყო. ეს კი არასასურველი იყო. ლაშქრობის დამთავრება რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მომხდარიყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ სიფრთხილეს მთის მცხოვრებლებთან მიმართებაში იჩენს იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში ერთი-ერთი უძლიერესი სახელმწიფოსა და მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი არმიის მთავარსარდალი. მისი სიფრთხილე კი იმითაა გამოწვეული, რომ საქართველოს მთავარსარდალმა კარგად იცის, თუ რაოდენ რთულია მთის პირობებში ბრძოლა, რადგანაც გეოგრაფიული ლანდშაფტისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო, აზრს კარგავს ის უპირატესობები, რომლებიც რეგულარულ ჯარებს გააჩნია. ქართული მხარე, ბუნებრივია, თვითონული თავისი ჯარისკაცის სიცოცხლითაც იყო დაინტერესებული და ამ ტაქტიკით როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან უაზრო მსხვერპლსაც ირიდებდა თავიდან.

სწორად არჩეული ტაქტიკის გამო იოანეს ლაშქრობა წარმატებული გამოდგა. ქართველთა ჯარმა შეძლო აჯანყებულებს ჩრდილოეთიდან წადგომოდა თავს. მემატიანე წერს: „წარადგა ფხოელთა, დიდოთა, ძურმუკთა, და უწყო რბევანი, ტყუენვა და სრვანი“. შეშინებული ძურმუკები ქართველთა სარდლობას დიდძალი ძლვენით ეახლნენ და მორჩილება აღუთქვეს. იოანემ აქ სამი თვე, სავარაუდოდ ივნისი, ივლისი და აგვისტო, დაჰყო. მან დაიმორჩილა ამ მხარის მკვიდრნი, განაგო იქაური საქმეები და მათ კვლავ ხარკი დაადო; მათი მხრიდან შემდგომში წინააღმდეგობის გაწევის თავიდან აცილების მიზნით, აიყვანა მძევლები და აგვისტოს ბოლოს უკან გამობრუნდა. იგი „მოვიდა წინაშე თამარისა გამარჯვებული“.

### X X X

XIII საუკუნეში მსოფლიოს ახალი დამპყრობლები მოევლინნენ თათარ-მონღლოლთა სახით. მათ გასაოცარი სისწრაფით დაიპყრეს აზია-ევროპის უდიდესი ნაწილი, მათ შორის საქართველოც, და მანამდე არნახული სიღიდის სამფლობელო შექმნეს.

მაღლე მონღლოლთა იმპერია რამდენიმე სამფლობელოდ გაიყო, რომელთა შორისაც ტერიტორიების გამო სისხლისმდვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. საქართველო ამ ომებში ჩაება. საქართველო ილხანთა მფლობელობაში მოექცა, რომელთაც გამუდმებული დაპირისპირება ჰქონდათ ოქროს ურდოსთან (მდებარეობდა კოლგისპირეთში).

XIII საუკუნეში საქართველოში გადმოვიდნენ ბერქა ყაენისაგან (ოქროს ურდო) ლტოლვილი ოსები, რომლებმაც თან მოიყვანეს მცირე ასაკის ძმები: უფროსი ფარეჯანი და უმცროსი ბაყათარი. ლტოლვილებში მრავალი ოსი დიდგვაროვანი აღმოჩნდა. ისინი დარუბანდის გადმოსასვლელით შემოვიდნენ

ამიერკავკასიაში. ილხანთა ყაენი ამ დროს იყო ჰულაგუ (ულო). მან შეიწყნარა ოსები, მათ ხარაჯა უბოძა, მოლაშქრედ და თანამებრძოლებად გაამწესა და ქართველთა მეფეს მათი დაბინავება უბრძანა. ამ უკანასკნელმა ოსები ზოგი ქალაქში დაასახლა, ზოგნი დმანისს და ნაწილიც უინვანს. ოსებმა ყაენის კეთილგანწყობით ისარგებლეს და ცოტა ხნის შემდეგ ქართლის რბევა, ხოლო მისი მოსახლეობის ტყვეებად დატაცება დაიწყეს. მათ ქალაქი გორი ააოხრეს და თავისად დაიჭირეს.

ოსთაგან ქვეყნის აოხრებით შეწუხებული ქართველი წარჩინებულები შეიკრიბნენ. მათ ქართლის ერისთავის ბეგას ძე, ჰამადა მეთაურობდა. ისინი გორს მიადგნენ. გორთან სისხლისმღვრები ბრძოლები გაიმართა. ქართველებმა გორს მრავალგზის შეუტიეს, მაგრამ ქალაქი საგანგებოდ იყო გამაგრებული და მისი აღება ვერ შეძლეს. „მრავალი კაცი მოკვდა, ოსიცა და ქართველიცა“. იძულებულნი გახდნენ გორი დაეწვათ. ოსებს ძალიან გაუჭირდათ ალყაშემორტყმულ ქალაქში ყოფნა. მათ ციხის გალავნიდან თოკით კაცი გადმოუშვეს, მუხრანში მდგომ თათრებთან გაგზავნეს და დახმარება სთხოვეს. თათარ-მონღლოლები მაშინვე გორისკენ გამოეშურნენ. ისინი ქართველებსა და ოსებს შუა ჩადგნენ და ქართველებს გორის აღების საშუალება არ მისცეს. თათრებმა ოსები და ქართველები დააზავეს. ამ ამბის შემდეგ ოსები და ქართველები წინანდელზე უფრო გადაემტერნენ ერთმანეთს.

ქართველთა მეფე დავითს ოსთა მთავარი ფარეჯანი, მართალია, ერთგულად ემსახურებოდა, მაგრამ ოსთა და ქართველთა შორის დიდი მტრობა იყო. ისინი იმდენად იყვნენ ერთმანეთზე გადაკიდებულები, რომ ვისაც სძლევდნენ, აუცილებლად კლავდნენ. განსაკუთრებით სამტრო-სასიკვდილედ ქართველი და ოსი დიდებულები იყვნენ გადაკიდებულები.

საქართველოს მძიმე დღეები ედგა. „იშლებოდა ქვეყანა ქართლისა“. განსაკუთრებით ოსი მთავარი ბაყათარი იყო განდიდებული. ის სარგებლობდა ქვეყანაში არსებული რთული ვითარებით და ქართლსა და თრიალეთს საშინლად აოხრებდა, აზნაურებს მამულებიდან ერეკებოდა და თავისად იჭერდა. როგორც მემატიანე წერს: „იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“.

ქართლში ორმეფობა იყო. მეფეები ვახტანგი და დავითი ერთმანეთს ხშირად ეომებოდნენ. ამით სარგებლობდნენ ოსები. ისინი ხან ერთს ეხმარებოდნენ, ხან მეორეს და თან ქართულ მოსახლეობასაც შეუწყალებლად არბევდნენ. „ბაყათარ აოხრებდა ქვეყანათა და ხოცთა კაცთა“. მას მედგრად ებრძოდნენ ქართლის ერისთავი სურამელები: რატი და ამადა, თუმცა ოსთა თავდასხმების შეჩერება ვერ ხერხდებოდა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ბაყათარმა გამრეკელს, კახას ძეს, ძამის ციხე წაართვა. ამის გაგებისთანავე სამცხის მთავარმა ბექამ დიდი ლაშქარი შეკრიბა და ბაყათრს თავს დაესხა. ცხენზე ამხედრებული ბაყათარი თავისი მებრძოლებით ციხიდან გამოვიდა და ბექას ჯარის მეომრებს წინ დახვდა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. პირველივე შეტაკების შემდეგ ბაყათარი იძლია. იგი ბრძოლის ველიდან გაიქცა და უკან, ციხეში შევიდა. ბექამ ციხეს ალყა შემოარტყა. მას დამხმარე ძალა მოუვიდა. ამან ოსები შეაშინა. მათ ზავი

ითხოვეს და სანაცვლოდ ქართლის მოსახლეობაზე თავდასხმების შეწყვეტის პირობა დადგეს. მალე მათი მთავარი და ამ რბევების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ბაყათარი მოკვდა, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ვითარება არ შეცვლილა, ოსები გამუდმებით აწიოკებდნენ საქართველოს მოსახლეობას და მრავალ უსამართლობას ჩადიოდნენ. მათი გამკითხავი არავინ იყო, ვიდრე საქართველოს ტახტზე ავიდოდა გიორგი V ბრწყინვალე – ერთიანი საქართველოს მეფე (მეფობდა 1299, 1318-1346), დემეტრე II თავდადებულისა და ნათია ჯაყელის ძე.



მისი მეფობის დასაწყისში „მძლავრობდნენ ოსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ-ადგილთა დაბნები და ციხენი. ამა მეფემან განასხნა ძლიერებითა თვისითა და წაართვა მათ ციხეები და დაბები“. ქართული წყაროს „მეგლი ერისთავის“ ცნობით, გიორგიმ ქალაქი გორი მძიმე ბრძოლების შემდეგ (ამისთვის სამი წელი დასჭირდა) აიღო და ოსები იქიდან განდევნა.

ამ პერიოდში, საქართველო ცენტრალური კავკასიიდანაც განიცდიდა ოსთა თავდასხმებს. გიორგიმ არც ისინი დაინდო. მან დიდი ლაშქარი შეკრიბა, „მერე შევიდა და შემუსრა კავკასია შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილა“. მათ ხარკი დაუწესა და „დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან“, რადგანაც კავკასიონის გადმოსასვლელები თვითონ დაიკავა და იქ მცველები დააყენა.

დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი წერდა: გიორგი ბრწყინვალემ „სძლო საქართველოს ყოველთა მტერთა, ზოგს ბრძოლითა და ძლიერებითა, ზოგი კი სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა დამშვიდა“.

### X X X

თეიმურაზ I იყო კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წლებში. იგი იყო ვაჟი დავით კახთა მეფისა და ქეთევან დედოფლისა, რომელიც 1624 წლის 12 სექტემბერს შაპ-აბასის ბრძანებით აწამეს, მაგრამ ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინეს.

თეიმურაზს მეფობა მეტად მძიმე ვითარებაში მოუხდა. მის დროს ირანის ტახტზე იჯდა მსოფლიოს ერთ-ერთი სასტიკი და სისხლისმსმელი მბრძანებელი – შაპ-აბასი, რომელიც განუწყვეტლად არბევდა და აოხრებდა აღმოსავლეთ საქართველოს და მის მოსახლეობას მრავალი ჭირი მოსწია.

თეიმურაზის დროს განსაკუთრებით გართულებული იყო დაღესტანთან ურთიერთობა. დაღესტნელებმა კახეთზე თავდასხმებს XVI საუკუნის შუა წლებიდან მოუხშირეს. თეიმურაზის მეფობის დასაწყისში ლეკები ცხადად თავდასხმებს ვერ ბედავდნენ და ჩუქად, მიპარვით, უმეტესად ლამით და მცირე რაზმებით აწიოკებდნენ ქართულ მოსახლეობას. თეიმურაზმა ქვეყნის დაცვის მიზნით დაღესტანში გაგზავნა ქართველთა რაზმი ქაიხოსრო ომანიშვილის მეთაურობით. ეს უკანასკნელი იყო მხნე, ახოვანი და მამაცი მებრძოლი. იგი შევიდა დაღესტანში და მთაზე დადგა. ქაიხოსრომ აქედან დაიწყო დაღესტნის „რბევა, სრვა და ოხრება“. დაღესტნელებმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ქაიხოსრომ დაღესტნელების უფრო მეტად შესაშინებლად, თეიმურაზისგან საომარი ბუკი ითხოვა. კახელებმა თეიმურაზს ჩაწვეთეს, რომ ქაიხოსრო ბუკს იმიტომ ითხოვდა, რომ შესაძლოა შემდეგ კახეთზე ბატონობაში შესცილებოდა თეიმურაზს. ამ უკანასკნელმა დაუჯერა ბოროტ ჭორებს, დაღესტანში ლაშქრობა მოშალა, ქაიხოსრო კი მოაკვლევინა.

XVII საუკუნეში კი შაპ-აბასის (1590-1629 წლები) მიერ კახეთის არაერთი აოხრების შემდეგ, დაღესტნელთა თავდასხმებმა უფრო სასტიკი და ყოველდღიური ხასიათი მიიღო. შაპ-აბასის თავდასხმების დროს კახთა მეფეს უღალატა დაღესტნის ერთ-ერთი სამფლობელოს წუქეთის\* მფლობელმა ალიბეგმა. თეიმურაზმა მისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. მან ქართული ლაშქარი შეყარა (სავარაუდო 1626-1628 წლებში) და წუქეთისკენ გაიღაშქა. ალონში (ალვანში) მისულ თეიმურაზს მოულოდნელად ცხენი წაექცა და დაშავდა. მან ლაშქრობის გაგრძელება ვეღარ შეძლო და კახთა და ქართლელთა ლაშქარს ზურაბ ერისთავი უთავა.

ალი-სულთანი სარუბაშვი\* იმყოფებოდა, ქართველებიც იქით გაეშურნენ. ქართული ლაშქარი პარვით მიდიოდა (რადგანაც თავდასხმის შეტყობისთანავე ალი-სულთანი გაიქცეოდა, ან სპარსელებს მოიშველიებდა) და მისი მიახლოვება ალი-სულთანმა გვიან შეიტყო. მან წუქეთში გადასვლა ვეღარ მოასწრო, ჯებირს

ამოეფარა და ასე დაუწყო წინააღმდეგობა ქართველებს, თან გაქცევას ლამობდა. ქართველები ქვეითად შეუხდნენ მოღალატეს. ზურაბი კი მას ცხენით მიუხდა და ხმამაღლა დაუძახა, რომ დანებებოდა, რადგან ვერსად ვერ გაიქცეოდა.

ქართველებმა ალი-ბეგი შეიპყრეს და თავი მოჭრეს. მათ ძვირად დაუსვეს წახურელებს გამცემლობა. დაარბიეს მათი სამფლობელო, მრავალი საშოვარი იგდეს ხელთ და საქონელიც წამოიყვანეს. ალი-ბეგის მოჭრილი თავი კი თეიმურაზს მიართვეს.

თეიმურაზმა შუა დაღესტანშიც ილაშქრა. ეს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ლაშქრობა იყო და სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ლაშქრობა წარმატებული გამოდგა. თეიმურაზმა დაწვა და დაარბია დაღესტნელების ერთ-ერთი მთავარი სიმაგრე კოსორი და მისი შემოგარენი. ამის შემდეგ დაღესტნელებმა კახეთის მტრობა შეწყვიტეს. როგორც თეიმურაზ I წერს: „ვეღარ მემტერნეს მას აქეთ, მერმე მშვიდობა დამიწყო“.

დაღესტანში განხორციელებული ამ ორი წარმატებული ლაშქრობისგან განსხვავებით, მარცხით დასრულდა თეიმურაზის მესამე სამხედრო ექსპედიცია დაღესტნის ერთ-ერთ თემში – დიდოში.

თეიმურაზის მეფობის დროს დიდონი ისევ წარმართები იყვნენ. ქართველი მეფეების მიერ მათი არაერთგზის გაქრისტიანების მიუხედავად, ისინი ეპისკოპოსებს არ უსმენდნენ, კვლავ კერპებს ეთაყვანებოდნენ და მათ მსხვერპლს სწირავდნენ. ისინი კახეთის ტერიტორიებსაც ესხმოდნენ თავს და მშვიდობიან მოსახლეობას არბევდნენ. თეიმურაზმა მათზე ლაშქრობა, ურჩობისათვის დასჯა და მათი კვლავ ქრისტიანობაზე მოქცევა მოისურვა. კახთა მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, დიდოები თუ არ მოიქცეოდნენ, მათთვის ციხე-სიმაგრეები შეემუსრა და სასტიკად გასწორებოდა.

ლაშქრობა თავდაპირველად წარმატებით მიმდინარეობდა. დიდოებმა თეიმურაზს კავკასიონის გადასასვლელთან მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ. ქართველები დიდოეთში შევიდნენ და ზოგიერთი მათი კოშკი აიღეს. თეიმურაზმა მოსახლეობას შეუთვალა, რომ თუ რჯულზე არ მოვიდოდნენ და ქრისტიანობას არ დაუბრუნდებოდნენ, არ მოეშვებოდა. დიდოებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, პატიება ითხოვეს და მორჩილება აღუთქვეს. თეიმურაზიც მათ სიტყვას ენდო, თუმცა სასტიკად მოტყუვდა.

ცოტა ხნის შემდეგ, დიდოებმა წინააღმდეგობა გააგრძელეს. ისინი ქართველ მეომრებს თოფებსა და შხამიან ისრებს შეუცდომლად ესროდნენ. ერთ-ერთი შეტაკების დროს თეიმურაზს ერთგული მებრძოლი, მამუკა მოუკლეს.

მათი მხრიდან შეტევები გაძლიერდა. ქართველი ჯარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსთველი თეიმურაზს უკან დაბრუნებას ურჩევდა, იგი კი სასტიკ უარზე იდგა. დიდოებს სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ თვლიდა.

დიდოელებმა საშველად ლეკებს მოუხმეს. ისინი მალე მოვიდნენ. გაიმართა სასტიკი ომი. ქართველები დამარცხდნენ და გაქცევით უშველეს თავს. თეიმურაზს მრავალი სასულიერო და საერო პირი დაუხოცეს, მათ შორის: ალავერდელი და რუსთაველი ეპისკოპოსები, პაპუა აშრაპიშვილი, სულთან ბაზიერთ-ხუცესი, ნათანელ მდივანი და ა. შ. დაჭრეს რევაზ სახლთუხუცესი,

თამაზ ჯაზდანისძე... თვით თეიმურაზს ცხენი მოუკლეს. იგი ერთგულმა მებრძოლებმა სხვა ცხენზე შესვეს და ასე გამოარიდეს ბრძოლის ველს. დღიოეთის ლაშქრობისას უამრავი მეომარი გამოესალმა სიცოცხლეს.

თეიმურაზი ამბობს: „დიალ დავსუსტდი მას აქეთ, ცოცხალი რადღა წამოველ? სხვაც ბევრი მოჰკლეს მსახური“.



მართლაც, სავალალო ვითარება დაუდგა საქართველოს ამ ლაშქრობის შემდეგ. დაღესტნელები ისედაც ხშირად არბევდნენ ქვეყანას, ამის შემდეგ კი გული მოიცეს და მათმა თარეშმა ქართლ-კახეთში ყოველდღიური ხასიათი მიიღო. მათ თავდასხმებს აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ირანისა და თურქეთის სახელმწიფოს მესვეურები. ქართველები პირისპირ ბრძოლებში ყოველთვის ამარცხებდნენ თავგასულ მოძალადეს. ეს მათაც კარგად იცოდნენ და პირისპირ ბრძოლას გაურბოდნენ. მათ მიერ არჩეულ ბრძოლის ტაქტიკასთან საკმაოდ ძნელი იყო გამკლავება: ლეკთა მცირერიცხოვანი რაზმები (რომლებიც რამდენიმე: 4, 5...10 და ა. შ. კაცისგან შედგებოდა, რადგანაც ასე ადვილი იყო სწრაფი გადაადგილება) უსაფრთხებოდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, ხელსაყრელ შემთხვევაში თავს ესხმოდნენ მათ (ხშირად ეს თავდასხმები ხდებოდა დამით), ნაწილს წინააღმდეგობის დროს კლავდნენ, დანარჩენებს ატყვევებდნენ და დაღესტანში მიჰყავდათ. ქართველი ტყვეები ახალციხის, სტამბოლისა თუ მახლობელი აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრობებზე ხვდებოდნენ. ირანთან და თურქეთთან ისედაც გამოიყენებული ომებით

დაუძლურებული საქართველო უძლური იყო მათ გამკლავებოდა. ნელ-ნელა დაღესტნელები თავიანთი სამშობლოდან კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე გადმოსახლდნენ და კახეთის ძირძველ, ნაყოფიერ და წარმტაც მიწებზე დასახლდნენ. მათ დაიმონეს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა და ისინი ძალით გაამაპმადიანეს. მათ წინააღმდეგ განხორციელდა ქართველთა რამდენიმე ლაშქრობა, მაგრამ მათი ამ ტერიტორიებიდან განდევნა ვერ მოხერხდა. მათ პოზიციები განიმტკიცეს და XVIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სახელმწიფო – ჭარ-ბელაქანი. აյ მცხოვრებ გამაპმადიანებულ ქართულ მოსახლეობას კი ინგილოები შეერქვათ.

XVII საუკუნეში დასუსტებულ საქართველოს ჩრდილო კავკასიის სხვა მცხოვრებლებმა, კერძოდ კი, ოსებმაც შემოუტიეს. ისინი არბევდნენ ქართლს და ტყვედ იტაცებდნენ მის მოსახლეობას. საქართველოს განუდგა ძირძველი ქართული მხარე დვალეთიც. ისინი აღარ იხდიდნენ ხარჯს და არ ასრულებდნენ ბეგარას.

მათი თავდასხმების შესაჩერებლად ოსეთში ილაშქრა გიორგი სააკაძემ. იგი ამ დროს ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო.

გიორგი სააკაძის ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა. მან მოაოხრა მთელი ოსეთი ისე, რომ მათ კარგა წნით შეწყვიტეს ქართლის რბევა.

სააკაძემ არც დვალები დატოვა დაუსჯელნი. მათ ისევ იკისრეს ტრადიციული ხარკისა და ბეგარის გადახდა.

გიორგი სააკაძის ლაშქრობამ მხოლოდ დროებით შეძლო ოსთა აგრესიის შეჩერება. ისინი მომდევნო პერიოდშიც აგრძელებდნენ საქართველოს ტერიტორიების რბევას და ქართლის ჩრდილოეთ მთიან ნაწილში დასახლებას.

ასეთია მოკლედ ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან XVII საუკუნის ჩათვლით.

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**დარუბანდის ციხე** – კასპიის ზღვასა და კავკასიონს შორის დარუბანდის ვიწრო გასასვლელთან აგებული ციხე.

**დაღესტნელები** – ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხი.

**დვალეთი** – ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში; მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის ტერიტორიას.

**დიდოეთი** – დაღესტნის მაღალმთიანი, კახეთის მოსაზღვრე მხარე.

**დინასტია** – ერთი და იმავე საგვარეულოს მეფეები, რომლებიც თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე ნათესაობისა და მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე.

**ეგრისი** – ფართო მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება; იგივეა რაც კოლხიდა და ლაზიკა.

**ეპარქია** – მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, ანგლიკანურ ეკლესიებში საეკლესიო-ტერიტორიული ერთეული, რასაც სათავეში უდგას ეპისკოპოსი.

**ერისთავი** – ადგილობრივი მმართველი, ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს გამგებელი.

**ვანთლაშეთის უღელტეხილი** – კახეთისა და დაღესტნის დამაკავშირებელი უღელტეხილი.

**თაკვერი** – ისტორიული მხარე საქართველოში. თაკვერი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით ახლანდელ რაჭა-ლეჩხუმის მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით – (ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და მდინარე ლაჯანურის რიონის შენაკადი) ხეობას შორის მდებარე ტერიტორიას.

**იალაღები** – საზაფხულო საძოვრები.

**ინგუშები** – კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ხალხი.

**კლარჯეთი** – მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე), ისტორიული მესხეთის ნაწილი.

**აზდეანობა (ცეცხლთაყვანისცემა)** – იგივე ზოროასტრიზმი, ძველი სპარსელების რელიგია.

**მატიანე** – საისტორიო ჩანაწერთა კრებული ძველ საქართველოში.

**მაჰმადიანობა (ისლამი)** – რელიგიური მოძღვრება, რომელიც წინასწარმეტყველი მუჰამედის მოძღვრებასა და საღვთო წიგნს, ყურანს ემყარება.

**მისიონერი** – ადამიანი, რომელიც უცხო ქვეყნებში ჩადის და იქ მცხოვრები ხალხის თავის რწმენაზე მოქცევას ცდილობს.

**მოვაკანი** – აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყანა.

**მუჰპაჯირობა** – XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსების მიერ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი გადასახლება მშობლიური ადგილებიდან თურქეთსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

**ნეკრესი** – 1. ეპარქია კახეთში; 2. ციხე-სიმაგრე კახეთში.

**ნიქოზი** – ეპარქია ქართლში.

**ორატორი** – მჭევრმეტყველი, კარგად, სასიამოვნოდ მოუბარი ადამიანი.

**ოსები** – სკვითურ-სარმატული ტომი, ცხოვრობდა ჯერ სამხრეთ რუსეთის სტეპებში, შემდეგ კი ცენტრალურ კავკასიაში.

**ოძრხე** – ციხე-სიმაგრე სამხრეთ საქართველოში.

**პანკისი** – ხეობა კახეთში.

**ლანი** – აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყანა.

**სამშვილდე** – ციხე-ქალაქი ქვემო ქართლში.

**სარუბაში** – დაღესტნელთა მთის სოფელი ქურმუხის წყალზე.

**საფორტიფიკაციო ნაგებობები** – თავდაცვისათვის განკუთვნილი ციხე-სიმაგრეები.

**საფურცლე** – ადგილი ქართლში.

**სპასალარი** – მხედართმთავარი.

**სპასპეტი** – მხედართმთავარი, ქვეყნის ლაშქრის უფროსი.

**სეფე-წული** – სამეფო საგვარეულოსა და სახლის წარმომადგენელი.

**უბისები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხი.

**ყაბარდოელები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხი.

**ყადორის უღელტეხილი** – საქართველო-დაღესტნის დამაკავშირებელი გადასასვლელი.

**ყაენი** – მონღოლი მმართველი.

**ყარაჩაელები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხი.

**ყივჩაღეთი** – თურქული მოდგმის ტომი. სახლობდნენ სამხრეთ რუსეთის სტეპებში, მდინარე ვოლგიდან მდინარე დნეპრამდე.

**ფხოვი** – შემდეგდროინდელი ფშავი და ხევსურეთი.

**ჯიქები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხი.

**ქარაფი** – დაქანებული, ციცაბო. კლდიანი ქიმი.

**ჩაბალახი** – მუზარადი, საომარი თავსაბურავი.

**ჩერქეზები** – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსახლე ხალხი.

**ციხე-გოჯი** – იგივე ნოქალაქევი; მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში, რიონ-ტეხურის ხეობაში (სენაკის რაიონში), მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირას და მისი ფართობი ოც ჰექტარს მოიცავდა.

**ძველი წელთაღრიცხვა** – დრო ქრისტეშობამდე ანუ I საუკუნემდე.

**ძურმუკები (დურძუკები)** – ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მოსახლე ხალხი.

**წარმართი** – ადამიანი, რომელსაც მრავალი ღმერთი სწამს.

**წუნდა** – ადგილი სამხრეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის ზემო წელზე.

**წუქეთი** – იგივე წახური, მდებარეობდა მდინარე სამურის ზემო წელზე; უძველესი დროიდანვე საქართველოში შემომავალი ქრისტიანული ქვეყანა იყო.

**ჭართალი** – არაგვის ხეობასა და მის გვერდით ხევებში ლოკალიზებული ერთ-ერთი მთის მხარე.

**ხადა** – არაგვის ხეობის მაღალმთიან ზოლში მდებარე კუთხე.

**ხაზარეთი** – ხაზართა სახაკანო წარმოიშვა VII საუკუნის შუა წლებში; მდებარეობდა მდინარეების ვოლგასა და უბანს შუა.

**ხუნანი** – მდებარეობდა აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

**ჰერეთი** – ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. XV საუკუნიდან ტერმინი ჰერეთი აღარ იხმარება და მას ენაცვლება ტერმინი კახეთი.

**ჰუნები** – ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ველებში. ქართული და სომხური საისტორიო მწერლობა ჰუნებს შეცდომით ხაზარებად მოიხსენიებს.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიერ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955. ტ. II.
- ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, კრ: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
- ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. კიკნაძემ, თბ., 1987.
- საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, ო. მეტრეველი, ნეკერი, 2000.
- მ. სანაძე, თ. ბერაძე, კ. თოფურია, საქართველოს ისტორიული ატლასი, თბ., 2003.
- ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, საქართველოს მაცნე, 2004.
- ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1969.
- გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV სს. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
- ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
- ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994.
- მ. ლორთქიფანიძე, ქართლი მე-V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
- მ. შენგელია,, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, სინ, ტ. III, თბ., 1979.
- ბ. ლომინაძე, საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მონლოლთა ბატონობის გადაშენება. იორგი V ბრწყინვალე, სინ, ტ. III, თბ., 1979.
- დ. კაციტაძე, საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979.
- ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
- გ. უორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ., 1987.
- არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, ტ.VI, თბ., 1988.
- იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, ქართული მწერლობა, ტ. VI, თბ., 1988.
- ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტ. VI, თბ., 1988.
- ვ. ითონიშვილი, უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბ., 2005.